გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 172 (2088) | სამშაბათი, 21 ნოემბერი, 1995 წელი. | ფასი 25 თეთრი

ულოცავენ

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

სიამოვნებას მანიჭებს შემოგითვალოთ გულწრფელი მოლოცვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენი არჩევის გამო.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ძალებს საიმისოდ, რომ ასევე ღირსეულად გაართვათ თავი ახალი საპრეზიდენტო ვადის იმ პასუხსაგებ მოვალეობას, რომელიც დაგაკისრათ ქართველმა ხალხმა.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა შემდგომშიც გაფართოვდება და გამდიდრდება ბულგარეთის და საქართველოს ხალხების საკეთილდღეოდ.

ჟელიუ ჟელევი,
ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, გულწრფელად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საპატიო თანამდებობაზე თქვენს არჩევას და მსურს გისურვოთ წარმატებები შემდგომ საქმიანობაში.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა გამოვთქვა რწმენა, რომ რუმინეთისა და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ხალხების, ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის საკეთილდღეოდ.

თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს ვუსურვებ ახალ წარმატებებს რეფორმათა წინსვლისა და თქვენს ქვეყანაში დემოკრატიის კონსოლიდაციის გზაზე.

ღრმა პატივისცემით
იონ ილიესკუ,
რუმინეთის პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენს არჩევას და გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ სახელმწიფო მოღვაწეობაში.

დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს მოძმე ხალხების ტრადიციული მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ორივე ხალხის, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის საკეთილდღეოდ.

გისურვებთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს რაც შეიძლება სწრაფად დაძლიოთ გარდამავალი პერიოდის სირთულეები, აღადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა, გისურვებთ კეთილდღეობასა და აყვავებას.

პატივისცემით
ჰეიდარ ალიევი,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

მთელი სულით და გულით გილოცავთ ამა წლის 5 ნოემბერს გამართულ საყოველთაო არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებას. ეს გახდა ნათელი დადასტურება იმისა, რომ სწორია თქვენი კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ახალი საქართველოს მშენებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უნარიანი ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი დაძლევს არსებულ სირთულეებს და მიაღწევს კეთილდღეობასა და აყვავებას.

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და მრავალ წარმატებას თქვენს მოღვაწეობაში საქართველოს საკეთილდღეოდ.

საფარმურატ ნიაზოვი,
თურქმენეთის პრეზიდენტი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

სიამოვნებას მანიჭებს პირადად ჩემი და ლიბიის არაბთა დიდი სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის ხალხის სახელით გულწრფელად მოგილოცოთ გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში და გისურვოთ თქვენ ჯანმრთელობა და ბედნიერება, მეგობარ ქართველ ხალხს კი — პროგრესი და აყვავება.

მუამარ კადაფი,
პოლკოვნიკი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელზე კვლავ მოდის მოსალოცი დეპეშები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის შთამბეჭდავი გამარჯვების გამო. დეპეშები გამოგზავნეს საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ **რენე მონორიმ**, საარის მხარის პრემიერ-მინისტრმა **ოსკარ ლაფონტენმა**, კარელიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ვიქტორ სტეპანოვმა**, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ **ოლეგ სოსკოვეცმა**, აკადემიკოსმა **ევგენი პრიმაკოვმა**, უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთში **დიორდ ნანოვსკიმ**, ლივიის სახალხო ბიუროს მდივანმა მოსკოვში **ხალეჰ აბდალა ხალეჰმა**, დიდი თავადი **ლეონიდა გიორგის ასულმა**, რუსეთის დემოკრატიული ძალების კავშირის თავმჯდომარემ **ივან კოსტოვმა**, კომპანია „ბონბერგ გრუფ ინკის" დირექტორატის თავმჯდომარემ და ამავე კომპანიის პრეზიდენტმა **ჰენრი ზერბერმა** და **ბორის დევრიეურმა**, ნავთობისა და გაზის კომპანია „იორის ფილის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და ამავე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **ირით რიბი-რაპაპორტმა** და **ბლენ პერიმ**, ღია ტიპის საქციო საზოგადოება „მიკროდინის" თავმჯდომარემ **ა. ეფანოვმა**, თანამეგობრობის ქვეყნების ანტიმონოპოლური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს წევრებმა, სახელმწიფოთაშორისი სავალუტო კომიტეტის თავმჯდომარემ **ტ. ანოდინამ**.

საქინფორმი.

ბატონ ოთარ ფაცაციას, ქალბატონ ნუნუ გულუას

ბატონო ოთარ, ქალბატონო ნუნუ, ჩვენ შეგვძრა იმ უბედურებამ, რომელიც თქვენს ოჯახს დაატყდა თავს. არ არსებობს სიტყვები, რომლებითაც შეიძლება განუგეშოთ ადამიანმა.

გთხოვთ, ამ ყველაზე ძნელ წუთებში თქვენს გვერდით გვიგულოთ.

ნანული, ედუარდ შევარდნაძეები.

„არჩევნების შედეგები იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის, შემოქმედების ატმოსფერო დამკვიდრდება"

— **გასული** კვირა, შეიძლება ითქვას, არჩევნების კვირა იყო. საქართველოს ბევრ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარებისათვის მეორე ტური გაიმართა. პრინციპულად, არჩევნები იმის მაჩვენებელიც არის, თუ როგორია ქვეყნის პოლიტიკური დონე. აქედან გამომდინარე, რა ძირითად ტენდენციებზე შეიძლება დღეს ლაპარაკი? — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— უფრო დეტალური ანალიზი, ალბათ, ცოტა მოგვიანებით შეიძლება შევთავაზოთ რადიომსმენელს. ახლა კი ამ საკითხს ზოგადად შევეხები.

არჩევნების გუშინდელმა ტურმა დაადასტურა 5 ნოემბრის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგების კანონზომიერებანი. გუშინდელ ტურშიც მოქალაქეთა კავშირმა და პრეზიდენტის პროგრამის მხარდამჭერმა პოლიტიკურმა ძალებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. მინდა ხაზი გავუსვა აღორძინების კავშირის დიდ წარმატებას, ასევე დამოუკიდებელი დეპუტატების დამაჯერებელ წარმატებებს. აღსანიშნავია აგრეთვე ეროვნული დემოკრატების შთამბეჭდავი გამარჯვება, რასაც მივესალმები. უმნიშვნელოვანესი დასკვნა ის გახლავთ, რომ საქართველოში გაიმარჯვა დემოკრატიამ, რეფორმების კურსმა, რომ არჩევნები ჩატარდა კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შესაბამისად. არ მინდა, ისეთი სურათი დავხატო, თითქოს ყველაფერი იდეალურად იყოს. ცალკეულ ოლქებში სხვა კანდიდატების გასვლას ველოდით, შედეგი კი საწინააღმდეგო მივიღეთ, მაგრამ დემოკრატია დემოკრატიაა და ესეც კანონზომიერ და ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა. ცალკეული დარღვევებისა და კანონის გადახვევების გამო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მკაცრი განაჩენი გამოიტანა და ესეც დემოკრატიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ.

გაბედულად შეიძლება ითქვას: გაიმარჯვა საქართველოს მოქალაქეთა სიბრძნემ და შორსმჭვრეტელობამ. მათ არა მარტო პრეზიდენტსა და მის პროგრამას დაუჭირეს მხარი, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი დამსახურებაა, რომ ამ კურსის მხარდამჭერნი ახლად არჩეულ პარლამენტში ეგრეთ წოდებულ საკონსტიტუციო უმრავლესობას, ანუ ხმის მიმცემთა ორ მესამედზე მეტს ქმნიან. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა არჩევნების შედეგების თვალსაზრისით. პარლამენტში წარმოდგენილია ოპოზიციაც, რომელთანაც თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელია.

არჩევნების შედეგები იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობის, სტაბილურობისა და შემოქმედების ატმოსფერო, იკანონებს კანონი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დადგა, როგორც ბატონი ჯაბა იოსელიანი იტყოდა, დიქტატურის ეტაპი, ოღონდ კანონის დიქტატურისა.

არჩევნების მეორე ტურის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოვიდა უფრო ფართო პოლიტიკური სპექტრი, ვიდრე 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად, და ეს უდავოდ მისასალმებელია. მე ახლა ყველას არ ჩამოვთვლი, — წარმოდგენილია მრავალი პოლიტიკური პარტია და მოძრაობა.

პრეზიდენტის პროგრამა და დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტი გვაძლევს უნიკალურ შანსს შევქმნათ პრეზიდენტისა და პარლამენტის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტრუქციული, საქმიანი თანამშრომლობის მოხერხებული და ქვეყნის საჭიროებებს მორგებული მოდელი. პარლამენტი და პრეზიდენტი ფლობენ ყველა ფაქტორს იმისათვის, რომ 21-ე საუკუნეში საქართველო შევიდეს როგორც ერთიანი, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო.

ასეთია ზოგადად ჩემი შეხედულება.

— ამ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი განხორციელდა, საქართველოში და არა მარტო აქ, არ წყდება ლაპარაკი ისეთ ფიგურაზე, როგორიც უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძეა. ჩვენთვის ცნობილია მისი რამდენიმე გამოსვლა პრესაში და ტელევიზიით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა თუ ხელისუფლებამ არაერთი განცხადება გააკეთეს და პირდაპირ მოითხოვეს კიდეც, რომ იგი, როგორც ტერორისტი, გადმოეცათ საქართველოსათვის, ამას წინათ გიორგაძე კვლავ მოგვევლინა გაზეთ „პრავდაში" და თავისი ახალი „ოპუსი" გამოაცხო, მოახდენს თუ არა გავლენას რუსეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობაზე გიორგაძისათვის ფაქტობრივად თავშესაფრის მიცემა? ეს კითხვა არა ერთხელ დასმულა და ალბათ დაისმება მანამდე, სანამ რუსეთი თავშესაფარს აძლევს ისეთ ტერორისტს, როგორიც იგორ გიორგაძეა.

— სხვათა შორის, აქვე მინდა ვთქვა, რომ გადმოქართულებულ ვარიანტს, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა, აქვს მინაწერი, — გადმობეჭდილია შევარდნაძის თხოვნით. რაც შეეხება კომენტარს, მიმაჩნია, რომ ეს დროის ფუჭად დაკარგვაა. გადმობეჭდვა მხოლოდ იმისათვის ვითხოვე, რომ მკითხველი (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს რესპუბლიკაში, და არა მარტო აქ) თავად დარწმუნებულიყო, რომ ყოველივე ეს ისეთსავე დონეზეა, როგორც ზღაპარი ყაზახეთში შევარდნაძის კუთვნილი ჭაბურღილების შესახებ.

ედუარდ შევარდნაძის 20 ნოემბრის რადიოინტერვიუ

რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, ეს ძალიან სერიოზული საკითხია, ჩვენ შევქმენით მყარი სამართლებრივი ბაზა. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ორ სახელმწიფოს შორის, როგორც არაერთხელ ითქვა, პრინციპულად ახალი ურთიერთობის მშენებლობის გზაზე. აქ უდავოდ დიდია რუსეთის ხელმძღვანელობის ძალისხმევა, ამასთან დაკავშირებით მე გავიხსენებდი რუსეთის პრეზიდენტის ბატონ ელცინის ვიზიტს საქართველოში, პრემიერ-მინისტრის ბატონ ჩერნომირდინის ჩამოსვლას. სწორედ ამ ვიზიტების დროს გაფორმდა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ბაზა. ფაქტია ისიც, რომ ქვეყნის ხელმძღვანელებმაც და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა (მხედველობაში მაქვს რუსეთი) არაერთხელ გამოხატეს თავიანთი პოზიცია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მშენებლობის პროცესების მიმართ. როგორც მეც არაერთხელ აღმინიშნავს, საქართველო სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, რომ დემოკრატიული აღმშენებლობა რუსეთში შეუქცევადი გახდეს. მთელი პროგრესული მსოფლიოც რეალურად არის დაინტერესებული ამით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის მიღწეული მიჯნები ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი, თავგზააბნეული ავანტიურისტისა და პროფესიონალი ტერორისტის ბედი. დარწმუნებული ვარ, გაუგებრობანი ამ საქმეში დროებითი ხასიათისაა და სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, და, კიდევ ერთ აზრს მინდა გავუსვა ხაზი: იმ ძალების ვარაუდი, რომლებიც გიორგაძეს მფარველობენ, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ეშმაკმა გაიაროს. ჩვენ მათ წისქვილზე წყალს არ დავასხამთ, ეს არ მოხდება.

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არჩევნების პერიოდი იყო და ეს საკმაოდ რთული და პასუხსაგები პერიოდია ყველა ქვეყნისათვის, ცხოვრება ქვეყანაში არ შეწყვეტილა. გასულ კვირას, როცა მთელი ქვეყანა არჩევნების მეორე ტურს ელოდა, რესპუბლიკაში ნატოს დელეგაცია ჩამოვიდა, ჩამოსული იყო შალმან ვალავი. თქვენ მათ შეხვდით, მოდიოდა მხარდამჭერის წერილები, მათ შორის, მეიჯორის, კლინტონის ბარათები. მოკლედ, ქვეყანა ცხოვრობდა და ცოცხლობდა. ამ კვირის ბოლოს მოხდება, უწინარესად, ქვეყნისათვის, და შემდეგ თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა — პრეზიდენტის ინაუგურაცია, თქვენ უნდა დადოთ ფიცი ღვთისა და ერის წინაშე. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

— ჯერ ერთი, არჩევნების შედეგებს ელოდა არა მარტო საქართველო და ჩვენი მოსახლეობა. არჩევნების შედეგები საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ყურადღების ცენტრშიც იყო, როგორც კი გაირკვა შედეგები, მაშინვე ჩამოვიდნენ საქართველოში სავალუტო ფონდის ავტორიტეტული დელეგაცია და სხვა მრავალი, მათ შორის, ნატოს წარმომადგენლები, და განაახლეს წლინახევრის წინათ დაწყებული საქმიანი დიალოგი.

ასევე მინდა გაცნობოთ, რომ უკვე დაიწყო მრავალრიცხოვანი დელეგაციების ჩამოსვლა — ესენი ძირითადად ინვესტორები არიან, რომლებიც არჩევნების შედეგებს ელოდებოდნენ. მინდა გავიხსენოთ ერთი დეტალი: ერთ-ერთმა მძლავრმა ფირმამ, რომელმაც ჩვენთან ხელი მოაწერა საქართველოში ბუნებრივი აირის საძიებო სამუშაოთა წარმოების კონტრაქტებს, მთელი 15 დღე გააჩერა გზაში მოწყობილობით დატვირთული გემები, რათა დალოდებოდა არჩევნების შედეგებს. ეს ერთადერთი მაგალითი როდია. ისინი გრძნობდნენ, რომ არჩევნების შედეგებზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა, არჩეული კურსის შეუქცევადობა, რასაც, ბუნებრივია, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასე რომ, ამ უახლოეს დღეებში, ვფიქრობ, დაიწყება კიდევ უფრო აქტიური თანამშრომლობა მეგობრებთან, პარტნიორებთან და ეს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნისათვის იქნება სასარგებლო.

ახლა ამ პროცედურის თუ ცერემონიის — ინაუგურაციის შესახებ. სიმართლე გითხრათ, მე შინაგანად წინააღმდეგი ვიყავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ ამ ცერემონიას ერთგვარი პომპეზურობა და განსაკუთრებული ხასიათი მინიჭებოდა. მაგრამ შემდეგ, როცა გავაგრძელეთ ამ პრობლემის განხილვა, ჩემმა კოლეგებმა, თითქმის ერთსულოვნად, დამარწმუნეს, რომ ეს პროცესი არ ეძღვნება ერთ პიროვნებას. პრეზიდენტის ინაუგურაცია სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის, ქვეყნის სუვერენიტეტის სიმბოლოა. ამავე დროს მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეიქმნას გარკვეული ტრადიცია ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ასეთი ტრადიცია თითქმის ყველა ქვეყანას აქვს. მე ბევრჯერ დავსწრებივარ და, სიმართლე გითხრათ, მრავალ ქვეყანაში ამას მართლაც ზეიმის სახე აქვს, რადგან ხაზი ესმება სწორედ ქვეყნის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტს. როგორ სახეს მიიღებს პრეზიდენტის მიერ ფიცის საჯაროდ დადება, გამოჩნდება კვირას, დღის პირველ საათზე. დაე, ეს დღე კიდევ უფრო დიდ და სასარგებლო საქმეთა სიმბოლოდ იქცეს ჩვენს სამშობლოში, მე ამას ვისურვებდი.

მერვე სვეტი

მონაწილეობა მიიღო არჩევნების მეორე ტურში

19 **ნოემბერს** საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ეწვია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში განლაგებულ ვაკის რაიონის 2 საარჩევნო უბანს, სადაც მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში.

„რუსთავი" საუკეთესო სავიზიტო ბარათია

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ანსამბლ „რუსთავის" ხელმძღვანელები ანზორ ერქომაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე და მათი გერმანელი პარტნიორები — ფირმა „ტგბ" დირექტორი გიუნტერ კარი და ფირმა „ზაიფერტის" დირექტორი გაბრიელა ზაიფერტი. ითქვა, რომ ანსამბლი საქართველოს საუკეთესო სავიზიტო ბარათია საზღვარგარეთ და უთუოდ ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ჩვენს ქვეყანაში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

დასვენების დღე გადატანილია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად დასვენების დღე კვირა — 1995 წლის 26 ნოემბერი გადმოტანილია პარასკევს, 24 ნოემბერს.

პოლონეთის ახალი პრეზიდენტი

19 **ნოემბერს** პოლონეთში გაიმართა პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, რომელშიც გაიმარჯვა მემარცხენე ძალების ლიდერმა, ექსკომუნისტმა, 41 წლის ალექსანდრე კვასნევსკიმ.

კვასნევსკიმ ყოფილი პრეზიდენტი ლეხ ვალენსა ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტით დაჯაბნა.

მიღება

სახელმწიფოს მეთაურს ნდობას უცხადებენ

17 **ნოემბერს** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების „სითი ბენკის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯეკ განთერი.

როგორც ბატონმა განთერმა განაცხადა, საქართველოში მისი ვიზიტის მიზანია ქართველ კოლეგებთან ერთად შეიმუშაოს რესპუბლიკის საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხები და მოამზადოს კრედიტორებისათვის მისაღები პირობები. — ჩვენ მხარს ვუჭერთ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს, აღნიშნა სტუმარმა. მან ასევე თქვა, რომ სახელმწიფოს მეთაურს და მთავრობას ენდობიან მსოფლიოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ფინანსური, ეკონომიკური წრეები. ასე რომ, ბატონი ჯეკ განთერი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დანიშნა საქართველოში კრედიტორებთან ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ინტერესების დასაცავად, სულ მალე შეუდგება მუშაობას.

სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ბატონი ჯეკ განთერი აქტიურად ჩაებმება ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. თქვენი ცოდნა და გამოცდილება უდავოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას, განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა და სრული მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვა მას მომავალ საქმიანობაში.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია.

საქინფორმი.

სურათზე: მიღების დროს.

ვივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თანამშრომლობა გრძელდება

18 **ნოემბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ბატონი ბოდენი, რომელმაც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და უსურვა წარმატებები.

ბატონმა ბოდენმა მიმოიხილა მისიის მუშაობა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში და გამოთქვა იმედი, რომ თანამშრომლობა კვლავაც აქტიურად და ნაყოფიერად გაგრძელდება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პრობლემების გადაწყვეტას.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამაჩაბლოს მოსახლეობისათვის დახმარების კონკრეტულ საშუალებებს.

ილაპარაკეს აგრეთვე არჩევნების შედეგებზეც. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა მოსახლეობის, განსაკუთრებით, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების აქტიურობა არჩევნების პროცესში და განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობამ გააკეთა არჩევანი დემოკრატიის მხარდასაჭერად.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

სურათზე: ბატონი ბოდენი და ედუარდ შევარდნაძე.

მელისიდა აკოპიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ანონსი

ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საყურადღებოდ!

„**საქართველოს** რესპუბლიკის" რედაქციამ გაითვალისწინა მოსახლეობის, განსაკუთრებით, ვეტერანთა ინტერესი საქართველოს რესპუბლიკის კანონისადმი „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" და ჩვენი გაზეთის ხვალინდელ, 22 ნოემბრის ნომერში განმეორებით ვბეჭდავთ ზემოთ აღნიშნულ კანონს.

გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის"
რედაქცია.

კარიკატურისტის თვალით



რუსული პრესიდან.

დეპეშები

გილოცავთ თქვენ და საქართველოს!

გამოჩენილმა მოქანდაკემ ერნსტ ნეიზვესტნიმ, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გამოუგზავნა დეპეშა:

ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ!

სიტყვები ვერ მიპოვია 29 აგვისტოს ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით ჩემი გრძნობების გამოსახატავად.

შემიძლია გითხრათ მხოლოდ, რომ თქვენი ვაჟკაცობა ოპტიმიზმს მინერგავს და, რომ ცნება „ბედისწერა", „ფატუმი" და „განგება" სინონიმები როდია.

ჭეშმარიტად, მართლაც არის ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა. გფარავდეთ ღმერთი!

ერნსტ ნეიზვესტნი.

ახლახან კი მოქანდაკემ მოლოცვის დეპეშა გამოუგზავნა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს პრეზიდენტად არჩევის გამო.

ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ!

როცა ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალდით, მე გამოგიგზავნეთ დეპეშა, რომელშიც ბედისწერაზე ვლაპარაკობდი. თქვენი არჩევა ერთხელ კიდევ მარწმუნებს, რომ თქვენ ბრძანდებით კაცი, რომელიც განგებამ აგირჩიათ ხალხის მსახურად. გილოცავთ თქვენ და საქართველოს.

ერნსტ ნეიზვესტნი.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დეპეშით უპასუხა ერნსტ ნეიზვესტნის.

ძვირფასო ერნსტ იოსების ძევ!

მხოლოდ დღეს მივიღე 29 აგვისტოს ტერორისტული აქტისა და საქართველოს პრეზიდენტად არჩევის გამო თქვენ მიერ გამოგზავნილი დეპეშები.

ვერ წარმომედგინა, რომ დეპეშის მშრალი სტილი დაიტევდა ადრესატის ბედის გამო ესოდენ შეშფოთებას, ესოდენ სილამაზესა და სულიერ სითბოს.

დიდ მადლობას გწირავთ.

მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ მოისურვეთ უსასყიდლოდ შეგექმნათ ძეგლი ჩვენი გამოჩენილი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილისა, რომლის დღეები ამჟამად აღინიშნება მოსკოვში.

ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

მადლობელი ვარ განგებისა იმისთვისაც, რომ საქართველოსა და ჩემი ბედი აწუხებთ ისეთ ადამიანებს, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

ეს იმედს მისახავს.

ედუარდ შევარდნაძე.

18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კომპანია „ჯეი ქეი ექს ოილ ენდ გეს" პრეზიდენტი დევიდ რობსონი. განიხილეს სუფსაში ერთობლივი ნავთობსაძიებო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი.

ნავთობსაძიებო სამუშაოები კვლავ გაგრძელდება

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, უკვე ათვისებულია ხუთი ჰორიზონტი, რომლებიც მიუთითებენ ნავთობის არსებობაზე. ბატონ დევიდ რობსონის განცხადებით, საძიებო სამუშაოები სუფსაში კვლავაც გაგრძელდება, ქართულ მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალ ერთობლივ პროექტებზე. მიზანშეწონილია ნინოწმინდაში დაიწყონ ძველი ჭაბურღილების ათვისება ინტენსიფიკაციის მეთოდის გამოყენებით. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ამ რაიონში ნავთობის მოპოვებას.

გარდა ამისა მიმდინარეობს მოლაპარაკება კომპანია „შელთან", რომლის სპეციალისტები დადებითად აფასებენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ნავთობსაძიებო სამუშაოებში მათი თანამშრომლობის საკითხს. ბატონ დევიდ რობსონს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ამ კომპანიასთან შეთანხმების მიღწევა. მან სახელმწიფოს მეთაურს გადასცა დეკრეტი თანამშრომლობის პრინციპებზე. ქართული მხარე უახლოეს მომავალში განიხილავს დეკრეტის პროექტს.

განგაში

კოდორის ხეობა გეძახის, საქართველო!

სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება არ შესრულდა, 17 ქართული სოფელი კვლავ მოწყვეტილია გარესამყაროს

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 17 აგვისტოს 319-ე ბრძანებულებით კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო, გადაუდებელი ღონისძიებები ითვალისწინებდა: შვეულმფრენის საშუალებით კავშირის აღდგენას ქუთაისი-აჟარის მიმართულებით (თვითღირებულების ფარგლებში); ზუგდიდი-აჟარის საგზაო კავშირის აღდგენას — მგზავრების გადაყვანას სამხიდიანი ყველგანმავალი ავტომანქანით (თვითღირებულების ანაზღაურებით); 20 დღის ვადაში კონცერნ „საქავტოგზას" უნდა დაემთავრებინა ჭუბერი-აჟარის საგზაო მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები, რისთვისაც გამოეყოთ 90 მილიარდი კუპონი, 40 ტონა დიზელის საწვავი, 5 ტონა ბენზინი.

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი მუხლი არ შესრულებულა!

ხეობის მოსახლეობას მშვენივრად ესმის არსებული ობიექტური სიძნელეები, ჩვეული სიდინჯით იტანს ბევრ აუტანელ გასაჭირს, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი, ჩვენი ხეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამივე მუხლის შესრულება შეიძლებოდა.

ცნობილია: საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს ბალანსზე აქვს რამდენიმე შვეულმფრენი, რომლებიც სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებს ემსახურება. დარწმუნებული ვარ, დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ამ კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელთათვის რომ ეთხოვა თვეში ერთი რეისი მაინც შეესრულებინათ კოდორის ხეობაში, ეს საქმე გადაწყდებოდა.

შეუძლებელი არ იყო არც სამხიდიანი მანქანის გამონახვა, ბრეზენტით გადახურვა და მერე რეგულარული რეისების მოწყობა ზუგდიდი-აჟარის მიმართულებით თვითღირებულების ფარგლებში.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს კოდორელები ვინმეს რამეს ვამადლიდეთ. არა, ჩვენ, უბრალოდ, ძალიან გვიჭირს, ჩვენი ხეობის საუკეთესო ვაჟკაცებმა თავიანთი სიცოცხლის, გმირი დედებისა და შვილების სიცოცხლის ფასად შეინარჩუნეს საქართველოს ეს კუთხე, იხსნეს იგი გენოციდის, ფიზიკური განადგურებისაგან, და ვერ შევურიგდებით, რომ ხელოვნურად, ვინმეს გულგრილობისა და დაუდევრობის მიზეზით მოვწყდეთ დედასამშობლოს!

ზამთარი კარს მოგვადგა. იკეტება უღელტეხილები უამინდობის გამო, ზამთრის პერიოდში ზოგჯერ 25-40 დღის განმავლობაში არ ხერხდება საჰაერო კავშირის დამყარება კოდორის ხეობასთან (ვინმემ რომც მოინდომოს), და, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, თუ რა მძიმე, აუტანელ პირობებში გვიხდება იქ ყოფნა, სამხედრო თვალსაზრისით თუ სოციალურ-ეკონომიური პირობების მხრივ.

ვთხოვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს ხელისუფლებას, მთავრობას — ნუ დაკარგავთ ჩვენთან, კოდორის ხეობის ქართველობასთან კავშირს. ეს კავშირი ჩვენთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა, ერთიან, განუყოფელ საქართველოსთან ყოფნა არის.

კოდორის ხეობა გეძახის, საქართველო!

ვაჟა ავალიანი,
კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე.

1995 წლის 18 ნოემბერი.

დღევანდელობის ქრონიკა

ამ დღეებში გაიმართა სააქციო საზოგადოება „საქართველოს შაქრის კომბინატის" წევრთა საერთო კრება.

აგარელმა მეშაქრეებმა კოლექტივის თავკაცს თამაზ თხელიძეს გულთბილად მიულოცეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში გამარჯვება და უსურვეს ნაყოფიერი მოღვაწეობა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში.

კრებამ სააქციო საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია ანატოლი ილჩენკო, აგარაში დაბადებული და გაზრდილი, ამჟამად მოსკოველი ბიზნესმენი, სააქციო საზოგადოება „პროფკომპლექსიმის" პრეზიდენტი.

— რამდენად პერსპექტიულია მეშაქრეთა არჩევანი? — ვკითხე შაქრის კომბინატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ალექსანდრე გოგიტაშვილს.

— უაღრესად პერსპექტიულია. ანატოლი ილჩენკო, ისედაც გვიწევდა დახმარებას მოსკოვიდან, გვიგზავნიდა სათადარიგო ნაწილებს, აუცილებელ ტექნოლოგიურ კვანძებს.

ახალი პრეზიდენტი ხელცარიელი არც ამჯერად ჩამოვიდა: გაფორმებულია კონტრაქტები უცხოეთის ფირმებთან აგარის შაქრის კომბინატისთვის ნედლეულის მიწოდების თაობაზე. ეს — ზამთარში. მანამდე კი ქარხანამ ადგილობრივი ნედლეულით უნდა იმუშაოს.

ჭარხალი არის, რით გადავზიდოთ?

შაქრის კომბინატი სეზონის დაწყების წინ

შაქრის ჭარხლის მიღება უკვე დაიწყო. გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებიდან შემოზიდულია 7500 ტონა ნედლეული. ჭარხლის მიღება გრძელდება, მაგრამ აი, მარნეულის რაიონიდან ჯერჯერობით არც ერთი ტონა ჭარხალი არ მიუღიათ. არადა, მარნეულში წლევანდელ უამინდობასთან, გვალვასთან, სეტყვასთან ჭიდილში ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერი ჭარხალი მაინც მიიღეს.

შაქრის ჭარხლის ტრანსპორტირების საქმე ჩიხში მოექცა, — თქვა ყიზილ-აჯლოს სახელმწიფო მეურნეობის დირექტორმა ალი ალეკპეროვმა, — რკინიგზაზე სატარიფო განაკვეთების ზრდამ მარნეულის საზოგადოებრივი მეურნეობებისთვის არარენტაბელური გახადა ჭარხლის ტრანსპორტირება მარნეულიდან აგარაში. არც ავტომანქანებია ამ თვალსაზრისით ხელსაყრელი.

ახლა ვსხედვართ აგარის კომბინატის თავკაცებთან ერთად და თავს ვიმტვრევთ: როგორ გადმოვზიდოთ მარნეულიდან შაქრის ჭარხალი, თანაც ისე, რომ ეს მომგებიანი იყოს ორივე მხარისთვის.

მარნეულის რაიონის ბევრ მეურნეობაში შაქრის ჭარხალი უკვე ამოღებულია და ცის ქვეშ გროვად ყრია. ნედლეული ფუჭდება, ხმება, გადასამუშავებლად უვარგისი ხდება. მივეშველოთ მარნეულელებს—გადაზიდონ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული დანიშნულების ადგილზე.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

რესპუბლიკის ბაზარს კანონი უნდა იცავდეს

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკამ მორიგი კონტრაქტი დადო საზღვარგარეთელ ინვესტორს — ამჯერად, ინგლისის „ბარნეტ ლევის" ფირმას, რომლის შეკვეთითაც საწარმო დაამზადებს 50 ათას ქალის კაბას, კოსტიუმსა და ზედატანს, აგრეთვე ბავშვის შარვლებს. საწარმოს ნედლეულით უცხოეთის მხარე უზრუნველყოფს.

და მაინც, საწარმოს დირექტორს მერი ხალვაშს მიაჩნია, რომ ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრეების გათვალისწინებით (ყოველწლიურად ოთხი მილიონი პირობითი ერთეული მზა პროდუქცია) ასეთი ინვესტორი, სულ ცოტა, რვა მაინც იქნება საჭირო.

— საქართველოში, — თქვა მან, —საბედნიეროდ, უკვე შეიქმნა ყველა პირობა ინვესტორების ნორმალური მიღებისა და მუშაობისათვის, და, რაც ყველაზე მთავარია, კანონი ინვესტიციებს არ ბეგრავს. მაგრამ არ არის მეორე კანონი, რომელიც რესპუბლიკის ბაზარზე დაიცავდა ქვეყნის სამკერვალო მრეწველობის საწარმოთა ინტერესებს იმპორტისაგან, მაგალითად, დაბალხარისხოვანი ანალოგიური თურქული ნაწარმისგან. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არა მარტო ბათუმის სამკერვალო ფაბრიკას, არამედ რესპუბლიკის დარგის უმეტეს საწარმოებსაც აქვთ ისეთი ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია გამოუშვას საუკეთესო საზღვარგარეთული სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია, რუსეთში კი ამ მიზნით მთელი იმპორტული სამკერვალო პროდუქცია იბეგრება მისი თავდაპირველი ღირებულების 55-პროცენტიანი გადასახადით.

ამის გამო საზღვარგარეთელ ინვესტორებს ეკარგებათ თავიანთი მზა შეკერილი პროდუქციის იმპორტით დაინტერესება. და ისინი იძულებული იქნებიან, ისევ და ისევ გასაღების ბაზრების გაფართოების მიზნით, მოგვამარაგონ უკვე ნედლეულით და სანაცვლოდ მიიღონ მზა პროდუქცია, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაასაღებენ. დროთა განმავლობაში, ეს კი მოკლე ვადებში მოხდება, ჩვენი სამკერვალო მრეწველობა არა მარტო დაიწყებს მუშაობას ექსპორტისათვის, არამედ მთლიანად შეძლებს მოამარაგოს საშინაო ბაზარი მაღალხარისხოვანი მზა პროდუქციით.

ისეთი საწარმოების, როგორიც არის თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანებები, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, სიმძლავრეთა კომპლექსური დატვირთვის მიზნით მერი ხალვაშმა დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის ცნობილ ფირმა „გალვინ კლაინთან". ამ ფირმას პერსპექტივისათვის შეუძლია მოამარაგოს ქვეყნის აბრეშუმის გაერთიანებები საჭირო საღებრებით. რაც შეეხება აბრეშუმის ნედლეულს, იგი, როგორც ცნობილია, საქართველოში საკმარისი რაოდენობითაა. თუ აბრეშუმის ქსოვილები ექნებათ, სამკერვალო ფაბრიკები შეძლებენ ინვესტორის ნებისმიერი შეკვეთის შესრულებას, ამ ეტაპზე ამერიკის მხარეს აქვს ყველა მონაცემები თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანებების, აგრეთვე ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესახებ.

— იმედი მაქვს, — თქვა მერი ხალვაშმა, რომ მალე შევძლებთ დავუდოთ „გალვინ კლაინს" ორმხრივ ხელსაყრელი კონტრაქტი, მაგრამ ინვესტიციათა პრობლემის უფრო მასშტაბური გადაჭრისათვის სახელმწიფო, თუ იგი ფლობს ამა თუ იმ საწარმოს ყველა აქციის ნახევარს, ვალდებულია, მათი ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარების მიზნით, უფრო ინტენსიურად ეძებოს საზღვარგარეთელი ინვესტორები. დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში საქართველოში ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება, თანაც დაცული იქნება როგორც სახელმწიფოს, ისე მეწარმეთა უფლებები და ინტერესები, ამისთვის კი ყველა წანამძღვარი არსებობს.

თამაზ გენძეხაძე,
თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

საზრისი

სახელმწიფო მორალურად სუფთა ადამიანებმა უნდა აშენონ!

ახლა, როცა შეჯამდა არჩევნების შედეგები, როცა ქვეყანას უკვე ჰყავს საკუთარი კონსტიტუციის საფუძველზე არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი, დროის დაუკარგავად უნდა განისაზღვროს ხელისუფლების ამოცანები, პირველი ნაბიჯები და ეტაპობრივი პოზიტიური ცვლილებების წარმართვის სტრატეგიული მიმართულებანი.

ჩვენს ისტორიაში პირველად მოგვეცა შესაძლებლობა ქვეყანა გამოვიყვანოთ სიძნელეებიდან და დავადგეთ მდგრადი, უწყვეტი განვითარების გზას.

გასაგები მიზეზების გამო ყურადღებას არ გავამახვილებთ აუცილებელ პროცედურულ საკითხებზე, რომელმაც უნდა განამზადოს ნიადაგი, შექმნას მუშაობისათვის აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობები. მთელი თავისი მნიშვნელობის მიუხედავად ეს შედარებით ადვილად მოსაგვარებელია.

საკუთარი გამოცდილება საკუთარი სახელმწიფოს ცივილიზებული გზით მშენებლობისა ჩვენ არა გვაქვს. ამის აღიარება აუცილებელია. მხედველობაში გვაქვს არა ამ სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტის ცალკეული ელემენტები, არამედ მთლიანობით კონცეფციის საფუძველზე აგებული სახელმწიფო კონსტიტუციონალური სისტემა, მისი შიგამოწყობის ქვესისტემებისა და ქვეყანაში არსებულ რეალობაზე აგებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩათვლით.

ასეთ რეფორმას ყოვლისმომცველი, კომპლექსური და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირეული შეცვლის ფუნქცია აკისრია, მან ახალი ტიპის სოციალური და პოლიტიკური სისტემის შექმნა უნდა განაპირობოს.

საქართველოში დღეს შექმნილია წანამძღვრები სახელმწიფო მშენებლობაში სტრატეგიული პოლიტიკური აზროვნების დასამკვიდრებლად, ქვეყნის წინაშე მდგომი რთული პრობლემის დროის მოკლე მონაკვეთში დასაძლევად, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ეფექტიანი რეალიზების სრულყოფილი სისტემის შესაქმნელად.

ქვეყნის ხელისუფლებას უკვე ხვალ დასჭირდება შექმნას რეფორმაციის ერთიანი საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც ნათელ წარმოდგენას შექმნის ფუნდამენტური მნიშვნელობის სამ საკითხზე:

— **რეფორმის პროცესში გადასაწყვეტ სტრატეგიულ ამოცანებზე;**

— **ხელისუფლების როლსა და ადგილზე ამ პრობლემათა გადაწყვეტაში, მათ პასუხისმგებლობაზე ამ პროცესების წარმართვაში და მის შედეგებზე ეტაპების მიხედვით;**

— **ხალხის, საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ამ გარდაქმნებში, მათ წვლილსა და მიღებული კეთილდღეობის მასშტაბებზე.**

ერთი რამ ცხადზე ცხადია — უნდა მოიხსნას ყოველგვარი ანტაგონიზმი რეფორმებთან საზოგადოების მიმართებაში, უზრუნველყოფილი იქნეს ობიექტურ წინააღმდეგობათა თანდათანობითი შენელების კურსი, უარი უნდა ვთქვათ პოლიტიკაში შოკური მეთოდების გამოყენებაზე, რომელსაც უდიდესი ზიანი მოაქვს ხალხისათვის, საქმისათვის, მორალური კლიმატისათვის.

საქართველოს მოსახლეობამ უმთავრესი პოლიტიკური არჩევანი უკვე გააკეთა კონსტიტუციის მიღებით და უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების ფორმირებით.

ახლა მთავარია, ქვეყანაში არსებული რეზერვებისა და საგარეო დახმარებათა ერთიანი ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა შესძლოს მოკლე დროში გადაწყვიტოს საკუთარი ხალხის მოთხოვნილებათა მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილება და შემდგომ მისი განვითარება მზარდი, უწყვეტი ტრადიციის შესაქმნელად.

პარალელურად უნდა წარიმართოს სახელმწიფო მართვის პოლიტიკური და აღმასრულებელი რგოლების ურთიერთმოქმედების ახალ ფორმათა ჩამოყალიბების რთული პროცესი, აღსადგენია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია, სახელმწიფო მართვის ორგანოთა თავიდან ბოლომდე არჩევითობის, თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ფუნქციათა გამიჯვნის დემოკრატიული პრინციპები.

საკუთარ მიწა-წყალს უნდა დაუბრუნდეს ათეულ ათასობით დევნილ-ლტოლვილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქვეყნის ეკონომიკის დაცემის შეჩერების, საფინანსო-საკრედიტო და ფულად ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფის, მოსახლეობის დასაქმების, ცივილიზებული კერძო სექტორის ჩამოყალიბების ამოცანები.

ჩამოსაყალიბებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც პირველ რიგში საფუძველს ჩაუყრის საკუთარი საინვესტიციო პოტენციალის გამოყენებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, დაგროვების პროცესის დაწყებას.

უნიკალური და უაღრესად რთულია სამოქალაქო საზოგადოების შექმნის სოციალური ინტეგრაციის პროცესების წარმართვა, რადგან სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირველადი სოციალური უჯრედები და შინაგანი სტრუქტურა წინა სისტემაში ფაქტობრივად არ არსებულა, ამდენად იგი არ შეიძლება იყოს ისტორიული ევოლუციის პროდუქტი.

ასეთი ცვლილებების სტიმულირების ზუსტი ტექნოლოგია, ცივილიზებული სამყაროსათვის უცნობია. მეტად რთული და ხანგრძლივი ჩანს შესაბამის მრავალფეროვან სოციალურ სტრუქტურათა დინამიური ფორმირების პროცესი.

ყოველივე ამას პრინციპულად ახალი მართვითი კულტურა სჭირდება, რომელსაც სტიქიაზე მინდობით ვერ შექმნი.

წარმოუდგენელია სასურველი შედეგის მიღება, თუ ვერ უზრუნველვყავით სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონომიკური, მაღალინტელექტუალური სამსახურების, სათანადო საკადრო რეზერვების მომზადება. საკითხი ეხება ახალი ტიპის სახელმწიფო მოხელეთა შერჩევის, მომზადება-გადამზადებისა და განაწილების მწყობრი სისტემის შექმნას, რომელიც უნდა იკვებებოდეს სრულიად ახალ მენტალიტეტზე აგებული საზოგადოებრივ-სახალხო წიაღიდან. ეს ვერ მოხერხდება სრულიად ახალ ფასეულობებზე ორიენტირებული ცნობიერებისა და ყოფის ფორმების, საერთო ბედის წინაშე მდგომი მოსახლეობის მიერ საკუთარი თავის შეცნობის გარეშე. დღის წესრიგში დგება ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსახლეობის მიერ ქვეყნის მომავლის საერთო ხედვის ჩამოყალიბების, ეროვნული თანხმობის მიღწევის ამოცანა.

შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ არათუ რეფორმას, არამედ ხელახალ შექმნას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც საკუთარი ეროვნული ინტერესების გაცნობიერებასა და მისი რეალიზების შესაძლებლობათა გააზრებას გულისხმობს.

უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუცია ძლიერი ხელისუფლების შექმნას გულისხმობს, რომელიც პასუხს აგებს ქვეყნის ფიზიკურ არსებობაზე, მისი სუვერენიტეტის დაცვა-განმტკიცებაზე, სრულფასოვანი განვითარებისათვის პირობის შექმნაზე.

უნდა გვახსოვდეს: ასეთი სახელმწიფო აზროვნებითი კულტურის დემოკრატიული ტრადიციები ჩვენ არა გვაქვს — იგი უნდა ჩაისახოს და დამკვიდრდეს.

ხალხმა ღმერთისაკენ უნდა ქნას პირი, ქვეყანას უნდა ჰქონდეს წმინდა რელიგია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანურ ურთიერთობათა გაკეთილშობილებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და თვითდისციპლინის განმტკიცებას, პიროვნების ინდივიდუალურ შესაძლებლობათა შემოქმედებითი, შეუზღუდავი განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

ამ თვალსაზრისით ინდივიდუალურ პრინციპებზე აგებული საზოგადოების ორგანიზაცია საზიანო კი არა, ახალ სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი და ღირსშესანიშნავი ელემენტია.

სწორედ ეს ქმნის საზოგადოებისათვის მისაღები ყოფიერების, საზოგადოებრივ ფასეულობებთან მისი სრული ჰარმონიების, ხალხის მიერ სამომავლო ფორმების შეცნობა-მონაწილეობისა და თანხმობის საფუძვლებს, აკონტროლებს წინააღმდეგობებს და ანიჭებს მას არაანტაგონისტურ ხასიათს.

საქართველოს მდგრადი განვითარების პოლიტიკური კურსი გულისხმობს უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის დაძაბულობის თანდათანობით შენელებას და ამის კვალობაზე მიმდინარე პროცესთან მზარდ სოციალურ ორიენტაციას.

საქართველოს განვითარება მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული სოციალურ საფუძველზე, მხოლოდ მაშინ შეიძლება იგი მისაღები გახდეს სოციალისტური წინაისტორიის მქონე ქვეყნისათვის. ხალხმა ნათლად უნდა იცოდეს მიღებული ზომების სოციალური შედეგები.

მომავალ თაობათა ბედნიერებას არ უნდა შეეწიროს ახლანდელი თაობა და პირიქით — დღევანდელი გადაწყვეტილებანი მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს შემდეგ თაობებს.

ამოცანა ის არის, რომ დღევანდელმა თაობამ თვითონვე აღკვეთოს ახლო წარსულის მძიმე მემკვიდრეობა, თანაც ეს თაობაც აზიაროს ამ მოღვაწეობის სასიკეთო შედეგებს.

ეს არამც და არამც არ ნიშნავს ყველა ამ პროცესთა უმტკივნეულოდ ჩატარებას, მაგრამ მას საზოგადოებასთან შეთანხმება სჭირდება. ყოვლად დაუშვებელია მისი ადმინისტრაციულ-კულუარული მეთოდით წარმართვა.

ჩვენი მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი ადამიანია, ოჯახია და მისი ინტერესების სრულყოფა, მით უფრო შოკირება ყოვლად მიუღებელია არა მარტო განვითარებულ, არამედ განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებში.

რეფორმებს იმაზე დიდ მტერი არა ჰყავს, ვიდრე ადამიანის ბედისადმი გულქვა, არამგრძნობიარე დამოკიდებულება.

მთელს ჩვენს პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს სოციალურ ღირებულებათა უმაღლესი პრიორიტეტულობა, ადამიანისა და მისი ბუნებრივი გარემოს დაცვის უზრუნველყოფა.

დაბოლოს, უმთავრესი: წინასაარჩევნო პერიოდში შეკრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, საჯარო გამოსვლებში, პრესაში, ტელევიზიით ჩვენ არაერთგზის განვაცხადეთ: პრეზიდენტს და პარლამენტს ხალხი დემოკრატიული არჩევნების გზით შეარჩევს. ხალხის ნება ურყევია. ვინც არჩევნებში გაიმარჯვა, იგი საკანონმდებლო ხელისუფლებას შექმნის, აღმასრულებელ ხელისუფლებას თავიდან (ჯერჯერობით) ბოლომდე ქვეყნის პრეზიდენტი შეარჩევს.

უახლოეს დღეებში სწორედ ეს იქნება გადასაწყვეტი. ზღვარი უნდა დაედოს შემთხვევითი, შეუმოწმებელი, გაყიდული, უზნეო, არაპროფესიონალი, ორგული და მლიქვნელი ადამიანების ყოფნას სახელმწიფო თანამდებობებზე. ღმერთმა ყველას თავისებური ნიჭი მიანიჭა, ასპარეზი ძალზე დიდია და როგორც წესი, მშრომელ კაცს საქმე არ გამოელევა. სახელმწიფო სამსახურს მხოლოდ ღირსეული ადამიანები უნდა ქმნიდნენ.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას ქვეყანაში გონიერი, საქმიანი და მორალურად სუფთა ადამიანები უნდა წარუძღვნენ.

ამის შესაძლებლობა უდავოდ არის და თუ მას გამოვიყენებთ, ქვეყანა გამოვა გასაჭირიდან და დაადგება აყვავების გზას.

ბაქურ გულუა.

გვთავაზობენ

სამართლიანობა მოითხოვს

როგორც ცნობილია, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში და სათანადო შენობით უზრუნველყოფაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ზებედეს ძე ცხვედაძეს, რომელიც თუმც ვერ მოესწრო უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ შენობის აგებას მთელი ძალ-ღონე შეალია; იყო უნივერსიტეტის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე და ამის გამო ილია მას ნიკო აღმაშენებლის სახელით იხსენიებდა. წარმოშობით ნიკო ცხვედაძე სოფელ კავთისხევიდან იყო, ჰქონდა იქ სახლი და მიწის ნაკვეთი. ცხვედაძისეული სახლის პირველი სართული კავთისხევში 1950 წლამდე ეკუთვნოდა მის ერთადერთ ქალიშვილს და მის მეუღლეს — თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, პროფესორ ფ. გოგიჩაიშვილს, ხოლო შემდგომ — მათ შვილებსა და შვილიშვილს. ხოლო სახლის მეორე სართული პროფესორმა ფ. გოგიჩაიშვილმა უსასყიდლოდ დაუთმო სოფელს სკოლისათვის. სამოციან წლებში პირველი სართულიც გადავიდა სკოლის მფლობელობაში.

სამწუხაროდ, ახლახან ამ სკოლას მიეკუთვნა სხვა ადამიანის სახელი.

პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა სათანადო ორგანიზაციის წინაშე, რათა ნიკო ცხვედაძის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, თვალადის სკოლას, რომელიც ამჟამად მოთავსებულია ნ. ცხვედაძის ყოფილ სახლში, მიეკუთვნოს ნიკო ცხვედაძის სახელი.

ნიკო გამყრელიძე,
ნიკო ცხვედაძის შვილიშვილის შვილი.

ინფორმაცია

ევროგაერთიანება—ხევსურეთი

ამ დღეებში უჩვეულო სიხარულმა დაისადგურა მთაში. დუშეთის რაიონის სოფელ შატილს ეწვია სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში შალვა ობგაიძე. მისი ჩამოსვლა მოსახლეობისათვის ორმაგად სასიხარულო გამოდგა. ჯერ ერთი, პირადად გავეცანით რეგიონის ახლადდანიშნულ ხელმძღვანელობას და მეორეც, მასვე ახლდნენ ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ბიუროს წარმომადგენლები, საფრანგეთიდან და გერმანიიდან მათიას ვალენტინი და ემანუელ დრეი.

პირიქითა ხევსურეთის მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარება ამდენი და ასეთი მრავალფეროვნებით არასოდეს მიუღია.

ადგილობრივი კომისიის მიერ 300 სულზე (80 ოჯახზე) განაწილდა ფქვილი, შაქარი, მარილი, ხორცის კონსერვები, მცენარეული ზეთი, ორცხობილა, დიდი რაოდენობის მედიკამენტები, სარეცხი საშუალებები, თხელი საბნები და სხვ. დახმარების ნაწილი დამატებით დაურიგდათ გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს.

ჰუმანიტარული დახმარება მიეცა შატილის საშუალო სკოლა-ინტერნატსაც.

პირიქითა ხევსურეთის მოსახლეობა მადლიერია ევროგაერთიანების მესვეურებისა, ვინც ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენს რესპუბლიკას სისტემატურად უწევს დახმარებას. მადლიერია რესპუბლიკის, რეგიონისა და რაიონის ხელმძღვანელობისაც.

ამგვარ თანადგომასა და ყურადღებას არ დაივიწყებს ხევსურეთის მოსახლეობა.

მიხეილ ჭინჭარაული,
ირაკლი ჭინჭარაული.
შატილი.

ზუგდიდი—ვოლოსი

ზუგდიდის მერმა ბონდო ჯიქიამ ამ დღეებში საბერძნეთიდან მიიღო წერილი, რომლის ავტორი ქალაქ ვოლოსის მერი დიმიტრი პიშორისი ითხოვს ზუგდიდისა და ვოლოსის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარებას.

ცნობისთვის — ვოლოსი საბერძნეთის ერთ-ერთი მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრი და საპორტო ქალაქია.

ახლა, როცა საქართველო დამოუკიდებლობისა და აღმავლობის გზას ადგას, ბუნებრივია, ზუგდიდის ეკონომიკურ განვითარებას ხელს შეუწყობს საბერძნეთის ამ ქალაქთან ურთიერთობის დამყარება.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

გვწერენ

დავიწყებული სიტყვა „მადლობა"

საქართველო —მსოფლიოს მერვე საოცრება, აქ პატიოსან კაცად მონათლულს თვეში 25 ლარად შეუძლია შეიძინოს „მერსედესი", ხუთოთახიანი ბინა დედაქალაქის პრესტიჟულ უბანში, იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, შვილებს სორბონის ან ოქსფორდის უნივერსიტეტში განათლება მიაღებინოს და მაინც... შეუძლია უმადურობისაგან ბილწსიტყვაობის მორევში ჩაიხრჩოს.

ვინ ამბობს მადლობას? წაქცეული — როცა ხელს შეაშველებენ. დამშეული — როცა პურს მიაწვდიან, გათოშილი — გულის სითბოს რომ შეაგებებენ. საბედნიეროდ, არიან ასეთი ადამიანები, რომლებიც მივიწყებულ სიტყვას —„მადლობას" იმსახურებენ.

„ჩემი ლაშა გუმისთასთან დაეცა. ეს ტკივილი ერთხანს უმამოდ დარჩენილი პატარა არნოლდის მძიმე ავადმყოფობამ დაგვავიწყა. სენაკის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების ხელმძღვანელთა დახმარებით ავადმყოფი თბილისის № 2 ბავშვთა საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოვათავსეთ. კაცი დავბერდი და ასეთი სითბო და მხარდაჭერა მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ვიგრძენი, სამედიცინო ხარჯები მთლიანად და დაუმადლებლად ექიმთა ჯგუფმა (ონიანი, ქისტაური, დოლიძე) იტვირთა. ოპერაცია წარმატებით გაკეთდა, ბავშვი გამოჯანმრთელდა და თავს ვალდებულად ვთვლი ხმამაღლა ვთქვა ერთი სიტყვა — მადლობა!" — გვწერს სოხუმელი ხიზანი **ამირან დგებუაძე**.

მოსკოვში მოღვაწე თანამემამულე კოლეგის პროფესიული ოსტატობის გამო აღტაცებას ვერ ფარავს ექიმი **სულხან კარსელიძე**.

„შარშან, მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის კომპლექსში, რომელსაც ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ს. ფედოროვი ხელმძღვანელობს, ექიმ-ოფთალმოლოგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ჯავრიშვილის კატეგორიული მოთხოვნით გამიკეთეს ორივე თვალის რქოვანას ოპერაცია — კერატოპლასტიკა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლეულს ბათუმში გაიხსნა უახლესი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი ზემოაღნიშნული კლინიკის ფილიალი, სადაც მოწვეული მოსკოველი ქირურგების მიერ კეთდება სხვადასხვა სახის ქირურგიული ოპერაციები. ახლო მომავალში გიორგი ჯავრიშვილის მიერ დაინერგება კერატოპლასტიკის უნიკალური ოპერაციაც. გიორგი ქირურგი კი არა, ნამდვილი ჯადოქარია". მან მეორე სიცოცხლე მაჩუქა!".

თბილისის მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატში აქაურ ბინადართა ყოფა-ცხოვრებისათვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი. მომსახურე პერსონალთან ერთად მოხუცებს სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებენ ნანი ბრეგვაძე, სოფიკო ჭიაურელი, ზინაიდა კვაჭაძე, თამარ ლაშქარაშვილი და ნელი გურგენიძე, სწორედ მათი გვარები მოიხსენიება **მერი გოგოლის** მადლიერებით აღსავსე წერილში.

აი, რას გვწერს ზოოვეტინსტიტუტის დოცენტი **ლეო შენგელია**.

„ზოოსავეტერინარო ინსტიტუტს დედაქალაქის ცენტრიდან 15 კილომეტრი აშორებს. ადრე საგარეუბნო მატარებლები გვიადვილებდა მიმოსვლას, მაგრამ ენერგოსისტემაში შექმნილი უწესრიგობის პირობებში მის იმედად ვეღარ იქნები. გაუჭირდათ სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სოფლის მოსახლეობას, აქ დასახლებულ ხიზნებს. და აი, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები — მერაბ არაბული და იმედა ქისტაური, რომლებმაც იჯარით აღებული ავტობუსი ხალხის სამსახურში ჩააყენეს. მოწესრიგებულ, თავაზიან ახალგაზრდებს ტრანსპორტი მუდამ მწყობრში აქვთ და მგზავრობის ღირებულებაც ხელმისაწვდომია. სკოლის მოსწავლეებს უფასოდ ემსახურებიან და არც „თეთრებზე" მცხოვრებ სტუდენტებსა და მასწავლებლებს „აშავებენ". განა ასეთ კეთილსინდისიერ მძღოლებს მადლობა არ უნდა ვუთხრათ, არ უნდა წავახალისოთ, ხელი არ უნდა შევუწყოთ? ესმით კი ეს მაღალჩინოსან პოლიციელებს, პროფესორებზე 8-9-ჯერ მეტი ხელფასი რომ აქვთ და მაინც ტრასებზე უმიზეზოდ და არა უმიზნოდ აჩერებენ ჩვენს სანაქებო მძღოლებს".

მადლობა ღმერთს, კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც მივიწყებულ სიტყვა „მადლობას" იმსახურებენ.

ლეილა კოშკაძ

ოთარ ჭელიძე - 70

ახლის ძიების გზით

ვეფხვის ბალადა

შეიშმუშნა ზღვის ნაპირის
უდაბური მხარე,
ლერწმებიდან ნადირივით
გამოვარდა მთვარე.

ჩაშუქებულ შამბნარებში
გაიღვიძა მხეცმა,
გაიზმორა და თვალებში
თითქოს ცეცხლი ეცა...

დაიქუხა, დაიჭექა,
გაიელვა ჭრელად,
ზე ასწია თათი ვეფხვმა
მთვარის დასაჭერად.

სისხლისფერი მნათი მშვიდად
როცა დაჯდა მთაზე,
ახტა ვეფხვი, გაეკიდა
მრისხანებით სავსე.

მთვარემ ისევ გადინაცვლა,
სხვა მწვერვალზე დაჯდა,
ვეფხვიც განა დაიქანცა,
მთაგრეხილთან გაჩნდა.

ხიდუნითა ცხელი მხარე
უკან დარჩა მდევარს,
არ დაეძებს ცხვრების ფარებს,
არც ცხენების რემას;

ხრამებს, ჩქერებს გადალახავს,
მთვარეს შორით უცქერს,
შვლების ჯოგებს სადაც ნახავს,
გვერდს შორიდან უქცევს;

დაქანცვამდე ასე სდია
მოელვარე მთვარეს,
და წააწყდა მთების ძირას
სიზმრად ნახულ მხარეს.

რას შეხედა?.. ვეფხვი შედგა,
დაატყვევა მიწამ.
დაავიწყდა, — მაღალ მთებთან
რისთვის გამოიქცა,

შედგა, თითქოს ქანდაკებად
გააქვავა მეხმა,
ხელმეორედ დაბადება
თუ ინატრა ვეფხვმა.

გადახედა ვერხვნარს, ბაღნარს,
იალაღებს, არაგვს;
შედგა ვეფხვი, არა, სხვაგან
წასავლელი არ აქვს.

დიდხანს იდგა, სანამ დილით
არ ახალეს ტყვია..,
ძირს დაეცა და სიკვდილი
არც კი შეუტყვია.

გაწვა ვეფხვი ტიალ გზაზე,
მიწას უწყო ლოკვა;
საქართველოს სილამაზემ
ასე ბევრი მოკლა!

რა თავისებურება ახასიათებს ბალადას, როგორც პოეტური შემოქმედების განსაკუთრებულ ფორმას, ეს ბრწყინვალედ განმარტა ჰეგელმა თავის „ესთეტიკაში“, რომელშიაც იგი აღნიშნავდა, რომ ეს არის ფრიად ურთულესი სახეობა პოეტური შემოქმედებისა, რომელშიაც გაერთიანებულია ეპოსისა და ლირიკის სფეროები. ეპიკური ხასიათის ღრმა ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამბავი, მოვლენა, რომლის ასახვა განუზრახავს პოეტს, ბუნებრივად და უშუალოდ შეიჭრება ხოლმე ლირიკაში, რათა ის ამბავი მშვიდად კი არ გადმოგვცეს, არამედ დაუმატოს მას პოეტის სულიერი მღელვარება — სევდა ან სიხარული. „ამ სახით, — წერს ჰეგელი, — შინაარსი აქ თუმცა ეპიკურია, მაგრამ მისი დამუშავება, გადმოცემა — ლირიკული“. ბალადის კლასიკურ ნიმუშად ჰეგელი აქ ასახელებს ფრიდრიხ შილერის „იბიკოსის წეროებს“, და შენიშნავს, რომ ეს ნაწარმოები განსაკუთრებით ძლიერია იმ ადგილებში, სადაც გადმოცემულია თუ როგორ სასტიკად დასჯის შურისძიების ქალღმერთებმა — ერინიებმა ის ავაზაკები, რომლებმაც მუხანათურად მოკლეს ხალხის საყვარელი მგოსანი — იბიკოსი.

საერთოდ, ჰეგელი ბალადის ჟანრის ისტორიულ სათავეებს შუა საუკუნეების ხალხურ პოეზიაში ეძებდა. ქართული ბალადის შორეული სათავეებიც დაახლოებით იმ დროებშია ჩაკარგული. სანიმუშოდ აქ უნდა დავასახელოთ „ამბავი ვეფხისა და მოყმისა“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ზურაბმა აიკლა ქვეყანა“, „შიოლა და მთრეხელი“ და სხვ. ეს მართლაც განსაცვიფრებელი ქმნილებებია, რომლებიც თავისი მნიშვნელობით, შინაარსის სიღრმითა და ფორმის დახვეწილობით უთანაბრდებიან მსოფლიო კლასიკის ბრწყინვალეს შედევრებს. უძველესმა ქართულმა ფოლკლორმა, კერძოდ, ბალადის ჟანრმა თავისი გამოძახილი ჰპოვა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შორის გვხვდება უბრწყინვალესი ბალადები, რომლებიც მუდამ სანიმუშონი იქნებიან მომდევნო თაობების პოეტებისათვის.

ჩვენი დროის, მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ ღირსეულად განაგრძო ეს ტრადიცია. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ახალი ქართული ლექსის უბრწყინვალესი ოსტატი ოთარ ჭელიძე, რომელმაც ბალადას მოუძებნა უაღრესად ფართო ჰორიზონტი, აქცია იგი ქართული სულის, მაღალი ზნეობრივი იდეალის, ქართული ყოფის ჭეშმარიტ მატიანედ. რა საოცარი ოსტატობით, ორიოდე მარჯვე ფრაზით დახატა პოეტმა ვაჟკაცის ის შემართება, ის სულიერი სტოიციზმი, სამშობლოს ის განუზომელი სიყვარული, რომელიც ძალას აძლევდა ქართველ მეომარს შებმოდა და შებრძოლებოდა გაავფთრებულ ვეფხვსაც და იერიშზე წამოსულ ტანკსაც. „ზარბაზნები და პოეზია“, ჰქვია ამ ლექსს. „ბალადით გარწმუნებთ, რომ ასეა, — წერს პოეტი, — ზარბაზნებს არ მონებს პოეზია, როდესაც უთოფო ქართველები, სიკვდილის არაფრად ჩამთვლელები, ტანკებთან საომრად გადადიან „ვეფხისა და მოყმის“ ბალადიდან“. ეს ლექსი დაწერილია ზუსტად იმ მწარე დღეებში, როცა ალალი ქართველი ბიჭები, მართლაც რომ სიკვდილის არაფრად ჩამთვლელები, იდგნენ და მკერდით იცავდნენ საქართველოს საქართველოსავე მიწაზე, შავი ზღვის იმ ნაპირზე, თვალსა და ხელს შუა რომ წაგლიჯეს საქართველოს ცოცხალ სხეულს გათავხედებულმა ექსტრემისტებმა.

პოეტურ ნაწარმოებს ხანდახან უცნაური ბედი ხვდება ხოლმე წილად. ასეთი უმაგალითო ბედი ხვდა ოთარ ჭელიძის ბალადას „თამარ მეფის საფლავი“. საქმე ის არის, რომ ჩვენმა მკითხველმა, ჩვენმა ხალხმა ეს ბალადა, რომელიც გულისშემძვრელ ლეგენდას შეიცავს, საუკუნეების წინ შექმნილ ფოლკლორულ ნაწარმოებად მიიჩნია. ქართველ მკითხველს რას გააკვირვებ კარგი ლექსით. მაგრამ ამ ლექსის ამბავი კი საგანგებოდ აღსანიშნავია. ქართულ პოეზიაში თამარ მეფის სახე მუდამ წარმტაცი თემა იყო და არის. მატიანემ სამარადისოდ უკვდავჰყო მისი სათნო სახე და ენით გამოუთქმელი სილამაზე, მისი სახელმწიფოებრივი სიბრძნე, მისი უსაზღვროდ კეთილი გული. „ბნელი უნათლო და გლოვა უნუგეშინისცემო“, თამარის გარდაცვალებას რომ მოჰყვა, თითქოს წინასწარ აუწყებდა საქართველოს მომავალ ქარტეხილებს, ენით აუწერელ უბედურებას. დაკრძალეს თამარი გელათში და აი, გაჰყვნენ ერთი-მეორეს მომდევნო საუკუნეები, არაერთგზის აოხრდა და გაპარტახდა ქვეყანა და თამარის საფლავიც დაიკარგა. ასეთ ვითარებაში მუდამ იბადება ლეგენდა, იგი ცვლის მატიანეს. ეს საოცარი ლეგენდა გვამცნობს განსაცვიფრებელ ამბავს — ჭირისუფლებს თურმე ცხრა კუბო გამოუტანიათ და ხალხმა ვერ გაიგო რომელში ესვენა თამარი. ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს, შემოსეულმა მტერმა არ უნდა გაიგოს, თორემ წაბილწავს და გაძარცვავს უძვირფასეს საფლავს. ის ორი ვაჟკაცი, რომელთაც მიაქვთ თამარის კუბო, მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ გაიძრობენ ხანჯლებს და სიცოცხლეს გამოასალმებენ ერთი-მეორეს. მორჩა, საიდუმლოება სამუდამოდ გაუხსნელი დარჩება.

ახლა ჩავუფიქრდეთ ამ ბალადის ლოგიკას — რა აზრი შეიძლებოდა ჰქონებოდა იმას, თუ არ გაამხელდნენ სად იყო დამარხული საქართველოს მეფე? რა სჭირდა საფლავს დასამალი? აბა გაიხსენეთ იმ დროის საერთაშორისო ვითარება — მეთორმეტე საუკუნის ბოლო და მეცამეტის დასაწყისი... არეული, აწეწილ-დაწეწილი მსოფლიო.. ქვეყნად სისხლის გუბეები დგას. მძვინვარებს ჯერ მესამე, მერე — მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა — იმდროინდელი „დრანგ ნახ ოსტენ“, დაწყებული ახლო აღმოსავლეთის გასაძარცვავად. ჯვაროსნები იერიშით იღებენ, იკლებენ და ცეცხლს აძლევენ აღმოსავლეთის უმდიდრეს ქალაქებს, სწორედ მეოთხე ლაშქრობის დროს, 1204 წელს შეიჭრნენ ისინი, თვით კონსტანტინოპოლში, რომელსაც იმდროინდელი ქრისტიანული მსოფლიოს დედაქალაქს უწოდებდნენ. ბიზანტიელი მემატიანე ნიკიტა აკომინატი, რომელიც თვითონ ესწრებოდა კონსტანტინოპოლის აღებას, დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ რა დაემართა იმ დღეს წმინდა სოფიის დიდებულ ტაძარს. „მთავარი ტაძრის გაძარცვის და საფლავების წაბილწვის ამბებს გულგრილად ვერ მოისმენთ, — წერს იგი, — წმინდა ანალოე უჩვეულო სილამაზისა, ამოქარგული ძვირფასი თვლებით, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა, პატარა ნაჭრებად დაკ[illegible] ნივთებ[illegible] ოქროსა და ვერცხლის [illegible] ქურჭელი უნდა გამოეტანათ, რომლებითაც სავსე იყო კათედრები, ამბიონი და ალსავლის კარი, მათ ტაძრის კარიბჭეში დასატვირთავად შემოიყვანეს შეკაზმული ჯორები და ცხენები. პირუტყვები ფრთხებოდნენ ბრჭყიალა იატაკის დანახვაზე“. ასე იქცეოდნენ ქრისტეს საფლავის სახსნელად ჩამოსულნი ქრისტიანულსავე ქვეყანაში, ბიზანტიაში. მთელი მცირე აზია და არაბული აღმოსავლეთი ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იქცა. ამას დაუმატეთ ის ცოდვის კითხვა, შუა აზიიდან რომ წამოვიდა საქართველოს დასარბევად. მათი შემოსევა ჯერ დაწყებული არ იყო, მაგრამ სიფრთხილე მაინც საჭირო იყო.

ასე გადაეხლართა ერთი-მეორეს ლეგენდა და სინამდვილე.

„მოწყალედ გვექმენ ქართველთა, ჩვენო ლამაზო დედაო!“ — ასე, უგრძელეს საუკუნეთა მიღმა ეალერსებოდა საქართველოს ულამაზეს დედას დიდი ვაჟა-ფშაველა. მე არ ვიცი, რა უნდა იყოს პოეზიაში ამ ლამაზ დედა-შვილობაზე უფრო წარმტაცი და მომხიბვლელი რამ! სხვათა შორის, ამბობენ, რომ სიყვარულიც გადამდები რამ არისო. იმავე გზნებით, იმავე გრძნობით არის გამსჭვალული ზემოხსენებული ბალადა ოთარ ჭელიძისა — მან მარტო ერთ ლექსს კი არა, მთელ ვეება წიგნს სათაურად მისცა „თამარ მეფის საფლავი“, სიყვარულს სწორედ ამასა ჰქვია. ასეთმა სიყვარულმა გააწირვინა სიცოცხლე იმ ორ ჭაბუკს, რომელთაც იცოდნენ, რომ მათს საიდუმლოს ამ წუთისოფელში გახსნა არ უწერია. და ყველაზე საინტერესო მთელ ამ ამბავში ის არის, რომ ქართველმა მკითხველმა არ დაიჯერა, რომ ამ ლექსის ფაბულა ჭელიძეს ეკუთვნის, იგი უძველეს ხალხურ თქმულებად მიიჩნია. სწორედ ეს არის უპირველესი მაჩვენებელი პოეტის წარმატებისა. ეს იყო უძნელესი გამოცდა პოეტისათვის, რომელიც მან წარმატებით ჩააბარა.

ხალხთა ცხოვრების ისტორიას აქვს თავისი იდუმალი რიტმი, თავისი მაჯისცემა, რომელიც უნდა იპოვნოს, თავისი შეხებით იგრძნოს პოეტმაც, ისტორიკოსმაც, ფილოსოფოსმაც, და როცა ამ მაჯისცემას იგრძნობ, და გადმოსცემ, მაშინ ისტორია აღარ არის მტვერი და ნაცარი, მკვდარი ფაქტებისა და მოვლენების ქაოსური გროვა, აღარ არის სასაფლაოს მდუმარება. ის მაშინ გაღვიძებული სიცოცხლეა... ოთარ ჭელიძემ იპოვნა ეს რიტმი, იგრძნო მთელი არსებით და გადმოსცა თავისი ხმით, თავისებური ფერებით და სახეებით... ეს აძლევს პოეტს ძალასა და უნარს იგრძნოს იმ ლურჯი ფრთების შრიალი, საუკუნიდან საუკუნემდე, რომ გადაჰყავს საქართველო.

და პოეტის თვალიც მისდევს ამ ლაღად გაშლილ ფრთებს, ამ გრძელ გზაზე ის შეგახვედრებს კოხტაგორის მამაც შეთქმულებსაც და განდეგილ ბერსაც, ათასზე მეტი საგალობელი რომ შეუთხზავს სანთლის შუქზე მღვიმეში თავშეფარებულს, შეგახვედრებს ცოცხალ ბარათაშვილსაც. განჯის გზაზე არსენა რომ გადაუდგება წინ — „განდევნილი დავალთ სოფლად, მე ყაჩაღი, — შენ მგოსანი — თქვა არსენამ და გაშორდა ერთურთს ორი ცხენოსანი“ („ორი მარაბდელი“).

ამავე გრძელ გზაზე ხვდებიან პოეტს ის კალატოზები, ხუროები, მჭედლები, მწყემსები, გუთნისდედები, რომელთაც მან მიუძღვნა თავისი შესანიშნავი პოემა „ქიტესა“. ეს ისინი არიან, ვინც ყოველ ეპოქაში, ყოველ დროს აშენებდნენ საქართველოს და იცავდნენ მას, ვინც ქვეყანა არაერთგზის გადაარჩინა დაღუპვასა და მტრისაგან წალეკვას. ქიტესა მეტად კოლორიტული ქართული პერსონაჟია, ცოცხალი, მოქმედი, თანამედროვე, და იმავე დროს, აქ არის დიდი ისტორიული განზოგადება — ის აშენებდა ძველი საქართველოს გადამრჩენელ ციხე-სიმაგრეებს და ფხიზელ დარაჯად იდგა მათ დასაცავად.

ოთარ ჭელიძე ეკუთვნის ქართული პოეტური სიტყვის იმ შესანიშნავ ოსტატთა რიცხვს, რომელთაც მთავარი როლი შეასრულეს ახალი ქართული ლირიკისა და ეპოსის, მთლიანად ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისა და ამაღლების რთულსა და ძნელ გზაზე. ქართული ლექსის ოსტატთა ყველაზე უფრო სასახელო ტრადიცია მუდამ იყო ახლის ძიება, ახალი სიტყვა, სიახლე არა მარტო შინაარსის, არამედ მხატვრული ფორმის სფეროშიც. სწორედ ამ სფეროში ოთარ ჭელიძემ დიდად საგულისხმო ექსპერიმენტი ჩაიფიქრა და პირველმა თვითონ განახორციელა. მე ერთხელ უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა, რაოდენ წარმატებითი და სასიკეთო იყო ის გარდატეხა თუ განახლება, რომელიც ქართულმა ლექსმა განიცადა ოთარ ჭელიძის პოეზიაში, ლაპარაკია რიტმულ ცვლილებაზე, მაღალსა და დაბალ შაირზე, ხოლო ეს როდი იყო უმნიშვნელო ცდა. ვინაიდან რუსთაველის თქმისა არ იყოს, შაირობა სიბრძნის ერთი დარგი იყო პირველადვე, „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“. და აი, აქ ყოველი სასიკეთო სიახლე, ყოველი ნაბიჯი წინსვლისაკენ ღირსია მხარდაჭერისა და ფართოდ გახმაურებისა — მაღალსა და დაბალ შაირს შუა მოულოდნელად გაისმა მანამდე არგაგონილი, სრულიად ახალი რიტმი და სასაუბრო ინტონაციით აღსავსე რვამარცვლიანი ლექსი, რომელიც მანამდე უჩვეულო იყო ქართული პოეზიის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ამის საილუსტრაციოდ კმარა ლექსები „ჰამლეტ გონაშვილი მღერის“ და „შაურიანი წვიმა“. ასეთივე ცვლილება განიცადა ათმარცვლიანმა ლექსმაც, სანიმუშოდ უნდა დავასახელოთ „ლომები, პოეზია და საქართველო“ და „კუმურდოს ტაძარი“. აღსანიშნავია, რომ ამ სიახლეებმა უმალ მიიქციეს ყურადღება და პოვეს გავრცელება თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ამ შესანიშნავ ექსპერიმენტს სახელი არ ერქვა ქართულ პოეტიკაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არ არსებობდა, არ იყო მიგნებული და იგი პირველმა გაიგონა ეთერში მიმობნეულ ხმებსა და რიტმებში ოთარ ჭელიძის უფაქიზესმა პოეტურმა სმენამ.

ასე დააკანონა ახალი რიტმი ოთარ ჭელიძემ თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ეს რიტმი გასდევს არა მხოლოდ პოეტის ლირიკულ ლექსებსა და ბალადებს, არამედ ვრცელ ეპიკურ პოემებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჩემი მაგნიტური არე“ არა მარტო ახალი რიტმის დამკვიდრების თვალსაზრისით, არამედ უპირველესად თავისი მაღალი ჰუმანისტური იდეებით. პოეტმა აიღო დიდი ეპოქალური თემა — ახალგაზრდა ადამიანის ბედი ამ შფოთიანსა და ყოველ ნაბიჯზე განსაცდელით აღსავსე საუკუნეში. პოემის მთავარი პერსონაჟი — ახალგაზრდა ქართველი ჭაბუკი უაღრესად აქტიური მონაწილეა მთელი კაცობრიობის ბრძოლისა ქვეყნად ბნელის დამარცხებისა და ნათელის გამარჯვებისათვის. პოემა ახალი ქართული ეპოსის ფრიად საყურადღებო შენაძენია.

ოთარ ჭელიძის მთელი ეს ლექსები და პოემები მოწმობენ, რომ პოეტი მუდამ თავის ხალხთან იყო და არის. მისი პოეზია ხან ნუგეშია, მწუხარების გამზიარებელი და სამძიმრის მთქმელი, ხანაც სიხარულის მახარობელი.

გიორგი ნატროშვილი.

ხშირად ჩვენ თვითონაც არ გვესმის, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში ხოლო უცხოელებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იტალიელი ჟურნალისტი, უდიდესი გაზეთის „სტამპას“ კორესპონდენტი ჯულიეტო კიეზა ერთი იმათგანია, ვინც კარგად ერკვევა რუსეთის პოლიტიკის ახავალ-დახავალში. მაგრამ იმისათვის, რომ რუსეთს ჩასწვდომოდა, მას ამ ქვეყანაში 15 წლის ცხოვრება დასჭირდა.

სხვა სხვის ომში ბრძენია

ავადაა ელცინი— ავადაა რუსეთი

სხვა გაზეთებიდან



მონიტორის ღილაკების ქვემოთ წარწერაა: „არჩევნები“, „ეკონომიკა“, „დემოკრატია“.

— სინიორ კიეზა, ამერიკელი პოლიტიკოსები სულ უფრო გულდაჯერებით წინასწარმეტყველებენ, რომ რუსეთში გახელისუფლდება მემარჯვენე ნაციონალისტური რეჟიმი და ჩვენი ქვეყანა ტოტალიტარიზმს დაუბრუნდება სულ ცოტა 5 წლით. რამდენად ემთხვევა ეს პროგნოზები თქვენს აზრს?

— დასავლეთში ამუშავებენ რუსეთის მოვლენათა განვითარების ნაირ-ნაირ სცენარებს. ის სცენარი, რომელზეც თქვენ ბრძანეთ, ფრიად შესაძლებელია განხორციელდეს, და მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის ბრალი ეკისრება არა მხოლოდ კრემლის ახლანდელ ხელმძღვანელობას, არამედ კლინტონის ადმინისტრაციასაც. იგი გაცილებით უფრო კეთილმოსურნედ გეკიდებათ თქვენ, ვიდრე ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების სენატი, სადაც სულ უფრო ძლიერად იგრძნობა ანტირუსული განწყობილება, მაგრამ კლინტონმა და მისმა გუნდმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, როცა თქვენს ქვეყანას უბიძგეს იმ გზით, რომლითაც სიარული მას უბრალოდ არ შეეძლო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა ამერიკული საფინანსო და ეკონომიკური ინსტიტუტების დახმარებამ რუსეთი აიძულა განეხორციელებინა განსახელმწიფოება და პრივატიზაცია წარმოუდგენლად მოკლე ვადაში: სულ 2-3 წელიწადში. ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს აბსოლუტურად ყველაფერი ეკუთვნოდა, ამას უსათუოდ უნდა გამოეწვია საზოგადოების კრიმინალიზაცია და მისი უძლიერესი პოლარიზაცია.

— როგორ გგონიათ, ხომ არ შეიძლება დასავლეთის მიმართ რუსეთის მოქალაქეთა იმედგაცრუებას ახალი ცივი ომი მოჰყვეს?

— დიახ, და უკვე ახლა, საკმაოდ ძლიერია რუსეთის მოსახლეობის სიძულვილი დასავლეთისადმი. მას არცთუ უსაფუძვლოდ სწამებენ რუსეთის კოლონიზაციის მცდელობას. აქედან მომდინარეობს მისწრაფება, კვლავ აღიმართოს „რკინის ფარდა“. მაგრამ მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ: რუსეთის კოლონიზება შეუძლებელია, იგი შეიძლება დაინგრეს, და მაშინ დასავლეთს საშინელი შედეგები მოელის. საბჭოთა კავშირის დაშლამ უკვე შეიტანა მსოფლიოში სერიოზული დისბალანსი, მაგრამ რუსეთის რღვევას მოჰყვება განუჭვრეტელი შედეგები. ამას გეუბნებით როგორც დასავლელი კაცი. ახლა რუსეთი თანდათან იქცევა მსოფლიო სამრეცხაოდ, სადაც ჭუჭყიან ფულს ათეთრებენ. ეს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ჯეიმს ვულსის აზრით, სერიოზულ საფრთხეს უქადის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთისა და დასავლეთის დანაშაულებრივი სამყაროს პირშეკვრაზე.

— კეთილი, მაგრამ მაშინ დასავლეთს, ალბათ, ურჩევნია თავად აღმართოს რკინის ფარდა, რათა გზა გადაუღობოს კრიმინალურ სენს.

— უკვე გვიანაა, მაგრამ რუსეთის რღვევის მთავარი საფრთხე შეიძლება გახდეს მიზეზი მისი მეზობლების ცდუნებისა თავს დაესხან რუსეთს, და მაშინ ბოსნიის ამბები მონაგონი იქნება. მე მხედველობაში მაქვს ჩინეთი და მაჰმადიანური სამყარო. ჯერჯერობით მაჰმადიანური სამყარო დაქუცმაცებულია, ხოლო ჩინეთი უაღრესად ფრთხილად იქცევა. მაგრამ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, თუ შეიცვლება სიტუაცია.

მით უმეტეს, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში სულ 27 მილიონი კაცი ცხოვრობს, ხოლო ჩინეთში — მილიარდ 200 მილიონი. ბუნება, მოგეხსენებათ, სიცარიელეს ვერ იგუებს.

ამიტომ მთელი მსოფლიოს სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება შეინარჩუნოს რუსეთი, როგორც ძლიერი სახელმწიფო, კონკურენტუნარიანი, განვითარებული, დემოკრატიული, რამდენადაც მესმის, ვაშინგტონში, და მოსკოვშიაც უკვე მიხვდნენ, რამდენი რამ შეშლიათ...

— რუსეთში დაშვებული შეცდომები საშიშია კიდევ იმითაც, რომ ისინი ხაზგასმულია ყველასათვის. თუ დიდმა უფროსმა რაღაც აიკვიატა, უბედურებაა ისევე, როგორც ხრუშჩოვის სიმინდი პოლარული წრის მიღმა. რატომ იციან მოსკოვში უფრო უკეთ, როგორ იცხოვროს კაცმა, ვთქვათ, ომსკში, კი ამის გაგება შეუძლებელია?

— აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. ბევრ პოლიტიკოსსა და ჟურნალისტს დაუჯერებია, რომ რუსეთში რეფორმები შესაძლებელია მხოლოდ ზემოდან. ეს შეცდომაა, რომელსაც, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ იმეორებენ. მის გამო დაიშალა საბჭოთა კავშირი, მის გამო შეიძლება დაიშალოს რუსეთიც.

მე მგონია, რომ რუსეთი ავადაა თუნდაც იმიტომ, რომ მას სათავეში უდგას ავადმყოფი კაცი. ასეთი დიდი სახელმწიფოსათვის ეს აბსურდია.

— ხომ არ დაუბრუნდება რუსეთს კვლავ გერონტოკრატიის დრო, როდესაც დაძაბუნებული, მოხუცი ბრეჟნევის თუ ჩერნენკოს ზურგს უკან თავიანთ საქმეებს ჩარხავდნენ დამნაშავე ან უბრალოდ არაკომპეტენტური ადამიანები?

— თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, ამას შეიძლება მოჰყვეს მოვლენათა ძალზე საშიში განვითარება. იმ ადამიანებს, რომლებიც პრეზიდენტთან ახლობლობის წყალობით იღებენ „მოგებას“, უდავოდ ეშინიათ ხელისუფლების შეცვლისა. და მაინც, მათ უნდა შეიგნონ, რომ ხელისუფლების უზურპაცია გამოიწვევს სამოქალაქო ომს და საბოლოო ანგარიშით მათ მაინც არაფერი უშველის.

ელცინმა რეალისტურად უნდა შეაფასოს ვითარება ქვეყანასა და მსოფლიოში, და [illegible] პოლიტიკური სცენა. იმ ადამიანმა, რომელიც მას შეცვლის, უნდა შემოგვთავაზოს მშვიდობის სამოქალაქო პაქტი; გამოაცხადოს, რომ უარს ამბობს შურისძიებაზე, ჩადენილი დანაშაულობებისათვის დევნაზე. ადამიანებს უნდა მისცე საშუალება, მშვიდად დატოვონ პოლიტიკური სცენა.

— და თან წაიღონ ნაძარცვი?

— მთლად ასე — არა. მაგრამ უნდა დავუტოვოთ მათ რაღაც, რათა უზრუნველყოფილი სიბერე ჰქონდეთ. მთავარია, არ მისცე მათ საბაბი და შესაძლებლობა არეულობა დაატეხონ თავს საზოგადოებას, ადამიანები უნდა მიხვდნენ, რომ ქვეყანა მიემართება ნორმალური კალაპოტით, რომელსაც უკვე აღარ გადაუხვევს.

არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკურმა ძალამ საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ ამ კალაპოტს არ გადმოლახავს. ეს იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს პირველი ელემენტარული ნაბიჯი. შემდეგ ამას უნდა მოჰყვეს თანდათანობითი შეწონასწორებული ცვლილებანი კონსტიტუციაში, რომლებიც გაითვალისწინებს პარლამენტის როლის გაძლიერებას და პრეზიდენტის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვას. ხელისუფლების სამივე განშტოება უნდა მოქმედებდეს შეთანხმებულად, ითვალისწინებდეს საზოგადოების სხვადასხვა ინტერესებს.

— როგორ გგონიათ, არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს?

— ასეთი პარტია არის, და არა ერთი. რუსული თემების კონგრესის პროგრამა ბატონ სკოკოვის მეთაურობით, ამერიკელ ბიზნესმენებთან ბატონ ზიუგანოვის ამასწინანდელი საუბარი, ბატონ იავლინსკის პროგრამა მოწმობს, რომ რუსეთში არიან გონიერი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ დაამყარონ ქვეყანაში სიმშვიდე და წესრიგი.

— ვშიშობ, რომ თქვენ სულ ტყუილად აბრალებთ მშვიდობისმყოფლობას კომუნისტებს. თუ გახელისუფლდა, ზიუგანოვმა შეიძლება დაივიწყოს ყველაფერი, რასაც შეჰპირებია ამერიკელ ბიზნესმენებს, ან ამის გაკეთებას აიძულებენ თანაპარტიელი ამხანაგები.

— არა მგონია. ზიუგანოვი არ ჰგავს რევოლუციონერს, რომელიც მზად არის ამსხვრიოს ყოველივე და ყველაფერი. იგი უაღრესად გაიზარდა ამ ბოლო დროის მანძილზე.

— თქვენ გგონიათ, რომ იგი პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს?

— არა, ჩემი აზრით, მას ქარიზმა აკლია. პრეზიდენტობის მთავარი პრეტენდენტია გენერალი ლებედი. მისი გამარჯვებისა ბევრს ეშინია დასავლეთშიც და თქვენთანაც, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მას სულ ტყუილად უფრთხიან. იგი ლაპარაკობს ძალიან მოკლედ, გასაგებად, მასში იგრძნობა დიდი შინაგანი ძალა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლებედი არ არის გარეული კორუფციაში. თუ კარგი გუნდი შეჰკრა, იგი შეიძლება ძლიერი პრეზიდენტი გახდეს. და ამ საქმეში მას ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს სკოკოვი.

— თქვენი აზრით, ვინ მოიპოვებს უმრავლესობას პარლამენტში?

— ალბათ, ვერავინ. ცალ-ცალკე ვერცერთი პარტია ვერ მიიღებს უმრავლესობას. შეიქმნება კოალიცია სოციალ-დემოკრატიული ყაიდის პარტიებისაგან, რომლებშიც შევლენ ზომიერი ნაციონალისტებიც. ისინი მისაღები იქნებიან ყველასთვის, მათ შორის, დასავლეთისათვის.

— მაშასადამე, თქვენ რუსეთს მშვიდ, უღრუბლო მომავალს უწინასწარმეტყველებთ?

— სამწუხაროდ, უფრო შესაძლებელია მოვლენათა განვითარების ნაკლებად ოპტიმისტური ვარიანტი, და ელცინის ავადმყოფობა სერიოზულად აძლიერებს შფოთებას მსოფლიოში რუსეთთან დაკავშირებით. ეს ავადმყოფობა უკვე წელიწადზე მეტია გრძელდება. ამ დროის განმავლობაში შეიძლებოდა სახელმწიფოს მომზადება ძალაუფლების მეორე ხელში გადასაცემად. შეიძლებოდა მემკვიდრეთა ვარიანტებიც კი მომზადებულიყო. მაგრამ ეს არ გაკეთდა. ყველაფერი ისევე გრძელდება, როგორც ჩვეულებრივ იყო.

— მე ვფიქრობ, ამალა ბოლომდე იქნება ჩაბღაუჭებული ელცინს, იმიტომ, რომ მას აშინებს ყოველგვარი ცვლილება.

— დიახ, და ამიტომ პრეზიდენტის ამალა ზედიზედ სჩადის აშკარა სისულელეებს, ცდილობს, თავიდან მოიშოროს იავლინსკი, რუცკოი. ეს ძალზე შემაშფოთებელი ნიშანია და ელცინის გარემოცვაში პანიკის დაწყებას მოასწავებს. ამ სიტუაციაში ყველაზე ჭკვიანურად მოიქცა გაიდარი, რომელმაც თქვა, რომ თუ იავლინსკის არ გაატარებენ რეგისტრაციაში, იგი უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე. ასეთი განცხადება პირველს ზიუგანოვს რომ გაეკეთებინა, მისი ავტორიტეტი რუსეთის ამომრჩევლებისა და განსაკუთრებით დასავლეთის თვალში მკვეთრად გაიზრდებოდა. აქ რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია აშკარად წინდაუხედავად მოიქცა.

— კიდევ რა ფაქტორები გაიძულებთ თქვენ პესიმისტი იყოთ?

— მაგალითად, თუნდაც გენერალ ბარსუკოვის დანიშვნა უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის პოსტზე. ეს ძალზე გონიერი, მცოდნე, ენერგიული, ადამიანია, მაგრამ, მე მგონი, ბარსუკოვი უფრო ერთგულია ელცინისა, ვიდრე რუსეთში დემოკრატიის განვითარებისა. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა ადამიანზეც, რომელთაც საკვანძო ადგილები უკავიათ ძალოვან სტრუქტურებში.

— ვშიშობ, უშკომიდან და უშიშროების სამსახურიდან გაქცეულ ძველ კადრებს ბარსუკოვი ვეღარ დააბრუნებს. ხოლო იმათთან, ვინც დარჩა, ბევრს ვერაფერს მიაღწევს.

— მეც ასე მგონია. ამიტომ ძალისმიერი ვარიანტი უპერსპექტივოა. მაგრამ სამოქალაქო ომზე უფრო მეტად მე მაშინებს, რომ რუსეთში შეიძლება დაიწყოს შუახელისუფლებიანობის ან, უფრო ზუსტად, უხელისუფლობის ხანა, რომლის დროსაც სახელმწიფო ინსტიტუტები კიდევ უფრო დასუსტდება და ქვეყნის რღვევა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება.

მდგომარეობას შეიძლება ეშველოს, თუ ელცინი საჯაროდ განაცხადებს, რომ უარს ამბობს კენჭისყრაზე მომდევნო ვადით, ამასთან გამოვა პატიოსანი საპრეზიდენტო არჩევნების მოწყობის გარანტად. ეს მყისვე დაამშვიდებს ქვეყანას.

— არის საიმისო ნიშნები, რომ ასეთი რამ მოხდეს?

— თავად განსაჯეთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინანდელი ვიზიტის დროს ბორის ელცინმა პრეზიდენტ კლინტონს აჩუქა ორი თოჯინა, ორი პატარა პინგვინი, რომლებსაც ჰოკეისტთა ფორმა აცვიათ. ერთს ეწერა: „ბილი 1996 წ.“, მეორეს: „ბორისი 1996 წ.“. ეს ნიშნავს, რომ ელცინი გაისადაც ხედავს ბილის და საკუთარ თავს პრეზიდენტის პოსტზე არჩეულად.

— სიტყვამ მოიტანა და, როგორ აღიქვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ელცინის ვიზიტი?

— მთლიანად ამერიკის საზოგადოებრიობის აღქმაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამერიკელმა ჟურნალისტებმა ელცინის ქცევა აღიქვეს ნასვამი კაცის ქცევად. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ელცინი აბსოლუტურად ფხიზელი იყო, იგი უბრალოდ ავადაა. შესაძლოა, დიდი არტერიული წნევა აღელვების ჟამს მის ტვინზე მათრობელა ზემოქმედებას ახდენს.

მაგრამ ყველას, ვინც იქ იყო, იგი მთვრალი ეგონა. კლინტონი შეეცადა როგორმე ეხსნა მდგომარეობა და იმდენი იცინა, კინაღამ ჩაბჟირდა, იმისათვის, რომ დაეჯერებინა ყველანი, ეს ხუმრობა იყოო.

ასეთივე არაჯანსაღი აგზნების მდგომარეობა ეტყობოდა ელცინს შარშან აგვისტოში, როცა იგი ცდილობდა ორკესტრისათვის ედირიჟორა. ასევე იქცეოდა იგი ჰალიფაქსშიც.

მე ვფიქრობ, ელცინის გარემოცვა ყოველნაირად ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ შეუძლია პრეზიდენტად დარჩეს შემდგომი ვადითაც.

ეს კი, ჩემი აზრით, მუხანათობაა თვით ბორის ელცინის მიმართ და უაღრესად სახიფათოა ქვეყნისათვის.

დიმიტრი მაკაროვი,
გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი“
№ 45.

1995 წლის 20 ნოემბერს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0. 9287	ლარი
ავსტრიული შილინგი	0. 1271	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1. 9600	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0. 4353	ლარი
გერმანული მარკა	0. 8944	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0. 7985	ლარი
დანიური კრონი	0. 7985	ლარი
1000 იტალიური ლირა	0. 7918	ლარი
კანადური დოლარი	0. 9281	ლარი
ნორვეგიული კრონი	0. 2026	ლარი
აშშ დოლარი	1. 2580	ლარი
ფინური მარკა	0. 2990	ლარი
ფრანგული ფრანკი	0. 2594	ლარი
შვედური კრონი	0. 1899	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1. 1053	ლარი
10 იაპონური იენი	0. 1239	ლარი
ეკიუ	1. 6351	ლარი
10 ესპანური პესეტა	0. 1041	ლარი
100 ბერძნული დრაქმა	0. 5397	ლარი
ირლანდიური გირვანქა	2. 0168	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0. 1957	ლარი
ქუვეიტური დინარი	4. 1982	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0. 7861	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0. 8529	ლარი
სინგაპურული დოლარი	0. 8913	ლარი
10 000 თურქული ლირა	0. 2385	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0. 3698	ლარი
1000 რუსული რუბლი	0. 2500	ლარი
ლიტვური ლიტი	0. 2836	ლარი
ლატვიური ლატი	2. 0812	ლარი
10 ესტონური კრონი	1. 0081	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0. 6355	ლარი
10 ყაზახეთის ტენგე	0. 1795	ლარი
მოლდავეთის ლეი	0. 2501	ლარი
ყირგიზეთის სომი	0. 1044	ლარი
10 000 ბელორუსიის მანეთი	1. 0375	ლარი
10 უზბეკეთის სუმი	0. 3356	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0. 2525	ლარი
100 სომხური დრამი	0. 2806	ლარი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქეთა მონაცემებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე:

1. გრძელიშვილი მარია ანტონის ასული, ქ. წყალტუბო, თამარ მეფის ქ. № 18-22;
2. ვლადიმერ ვიქტორის ძე შკარივსკი, მცხ. ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას ქ. № 28, ბ. 34.
3. ელენე ივანეს ასული სალუქვაძე, მცხ. ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, მე-4 მიკრორაიონი, მე-3 კორპ. ბ. 78.
4. თამარ ალექსის ასული პოლოხიანი, მცხ. უკრაინა, ქ. ოდესა, ოკრუჟნაიას ქ. 19/11.
5. არტურ არკადის ძე პოლოხიანი, მცხ. უკრაინა, ქ. ოდესა, ოკრუჟნაიას ქ. 19/11.
6. ანჟელიკა არკადის ას. პოლოხიანი, მცხ. უკრაინა, ქ. ოდესა, ოკრუჟნაიას ქ. 19/11.
7. დიანა ილიას ასული შ[illegible]ახოვა, მცხ. ქ. მარნეული სოფ. ოფრეთი.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს ქონებრივი ვალდებულებანი ან შეუსრულებელი მოვალეობები, გთხოვთ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულება, სასამართლო გადაწყვეტილება, სააღსრულებლო ფურცელი და სხვა.

მისამართი: 380002, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 30, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო. ტელ.: 99-97-96, 99-05-28, 99-08-44, 93-42-91.

ინფორმაცია

ჯერ შეიცადეთ!

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი კონსტანტინე მიხაილოვი.

საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ფორმირებების მძიმე ტექნიკის იმ რაოდენობის დროებით განთავსებას, რომელიც აღემატება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზღვრულ ნორმებს. ვინაიდან, აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის 17 ნოემბრიდან, რუსეთის მხარემ საქართველოს მხარეს სთხოვა დართოს ნება, არსებული ტექნიკა დროებით დატოვოს საქართველოს ტერიტორიაზე, რაც არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს, განემარტათ, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუციის თანახმად, აღნიშნული საკითხი პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგ პარლამენტის თანხმობას საჭიროებს, რაც პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების დამტკიცებამდე არ მოხერხდება.

თანამშრომლობა გაგრძელდება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრის ცნობით, 17 ნოემბერს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეწვია სავალუტო ფონდის დელეგაცია შადმან ვალავის ხელმძღვანელობით. დელეგაციას შეხვდნენ ედპ-ს პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე, მთავარი კომიტეტის წევრები გურამ ჩახვაძე და მიხეილ ჯიბუტი. გაიმართა საუბარი საქართველოში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე, მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს იმ რეკომენდაციებს, რომელთაც სავალუტო ფონდი აძლევს საქართველოს.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ მათი თანამშრომლობა გაგრძელდება.

გორული „სტუმართმოყვარეობა“ კასპში

როგორც საქინფორმის კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, 18 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე, კასპის რაიონის სოფელ გამდლისწყაროსთან ბულგარეთის რესპუბლიკის ფირმა „ანტონოვის“ სატვირთო ავტომანქანა „რენოს“, რომელსაც მართავდა ნიკოლა პოპოვი, გზა გადაუკეტა გორის საბინაო-კომუნალური მეურნეობის ავტომანქანამ. მძღოლმა და მასთან ერთად მანქანაში მყოფმა ხუთმა პიროვნებამ ჩაუმტვრიეს უცხოელს მანქანის კარი, ჩამოხვეს იგი და მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ბოროტმოქმედები დააკავეს.

საქმეს იძიებს ქარელის სამხედრო რეგიონალური პროკურატურა.

პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგომა ითხოვა

საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის მთავარი საბჭოს სახელზე შემოვიდა დაკავებული პარტიის ლიდერის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის თემურ ჟორჟოლიანის განცხადება-თხოვნა. მასში იგი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს სახულიერო მოღვაწეობა და სთხოვს პარტიის მთავარ საბჭოს ნებართვას, თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ.

16 ნოემბერს, საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის მთავარი საბჭოს საგანგებო სხდომამ არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

საქინფორმი.

იუბილე

კავკასიონი— როგორც პარნასი!

ქართულ ლიტერატურულ თეატრს „ოქროს საწმისს“, რომელიც საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირმშოა, უკვე საკმაოდ კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. უპირველეს ყოვლისა, ამ თეატრის პოპულარობა მისი შემქმნელის, შესანიშნავი პიროვნებისა და ფილოლოგის მარინე ჯიქიას დამსახურებაა. „ოქროს საწმისს“ საკმაოდ მყარი ბალავერი დახვდა ისევ და ისევ მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, ქალბატონ მარინე ჯიქიას ჩინებული ლიტერატურული კომპოზიციების სახით, რაზეც მტკიცედ დაეფუძნა ეს ლიტერატურული თეატრი, რომლის სპექტაკლებზეც ყოველთვის ხალხმრავლობაა.

ამ დღეებშიც ასე იყო, როცა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა „ოქროს საწმისის“ ახალი ლიტერატურული სპექტაკლის „სერგეი ესენინის“ პრემიერა, მიძღვნილი ამ გამოჩენილი რუსი პოეტის, ქართველი პოეტების ძმადნაფიცის, სერგეი ესენინის 100 წლისთავისადმი.

კომპოზიციის ავტორი და რეჟისორია თვით მარინე ჯიქია, რეჟისორის თანაშემწე ირინე აბაშიძე, ასისტენტი ირინე შოთაძე. პოეზიისადმი და, კერძოდ, ესენინის შემოქმედებისადმი დიდი სიყვარულით დაუმშვენებიათ სპექტაკლი ცნობილ მხატვრებს კობა გურულს (ქედურობა), ზურაბ წერეთელს (მიხაქარი), და ხანა ბაქრაძეს (მსახიობთა სამოსელი).

...არყის ხეების შრიალში და ღიმილში გაიზარდა სერგეი ესენინი. რუსეთის ტრამალების სევდა ამუსიკდა მის პოეტურ სულში, მის ბრწყინვალე ლექსებში, რომლებითაც მოიხიბლნენ ქართველი პოეტებიც. და აი, 1924-25 წლებში, ამ დაუდგრომელმა შემოქმედმა დარიალამდეც მოაღწია, იხილა კავკასიონი და წინამორბედებივით თაყვანი სცა მას, როგორც პარნასს, მოჯადოებული დარჩა საქართველოთი!

ესენინის პოეზიის სუნთქვა, მაჯისცემა, „გემო“ და ფერადოვნება გააცოცხლეს დამსწრეთ მსახიობებმა ლიუდმილა მღებრიშვილმა, ვარლამ კორშიამ, გია ბურჯანაძემ, დიმიტრი ტატიშვილმა, ვალერი ხარიუტჩენკომ.

არც ისე ადვილია დღევანდელ პირობებში მსგავსი ჩანაფიქრის განხორციელება. ამ მხრივ, თეატრი „ოქროს საწმისი“ დიდად ემადლიერება მის იმპრესარიოს ჰენრი კუპრაშვილს, ქალაქის მერს ნიკო ლეკიშვილს, აგრეთვე, დავით სარალიძეს, რევაზ შავიშვილს, ანტონ ინგოროყვას, ქართული მოდებისა და ტანსაცმლის კულტურულ ცენტრს, სადაც შეიქმნა სასცენო სამოსელი.

...ადრე შეწყდა პოეტის გულისცემა, — მან თვით მოისწრაფა სიცოცხლე, ამ თვითმკვლელობით შეძრულმა ტიციან ტაბიძემ ასე დაატირა:

ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.
საკუთარ ძმასაც ვეღარ გავუმხელ,
რაც ჩაკარგულა გულში ბაღდამი...
სამწუხაროა, ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!...
ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში,
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!..

...კარგი იქნებოდა, ეს ლექსი ქართულად აჟღერებულიყო სცენაზე!..

1926 წლის 28 თებერვალს დაწერილი ამ ლექსის („სერგეი ესენინს“) სტრიქონები დღესაც კაკალ გულში ხვდება პოეზიის ჭეშმარიტ მოყვარულთ. ამ სიყვარულმა შეაქმნევინა ქალბატონ მარინე ჯიქიასაც ლიტერატურული სპექტაკლი „სერგეი ესენინი“.

ნანა ღვინეფაძე.

არდავიწყება

სიყვარულში დახარჯული გული

ბერლინის ცნობილი კედლის დანგრევამ იძულებით გახლეჩილი ერი კვლავ გააერთიანა. პარადოქსია, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ფაქტია, გერმანელი ხალხის გამთიშველი კედლის მოშლაში ლომის წილი ქართველ კაცს რომ მიუძღვის. ამ მოვლენით ქართველი და გერმანელი ხალხის მეგობრობის ახალი ერა დაიწყო, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჰქონდა ჩაყრილი.

ამ ფაქტმა მრავალი ახალი მეგობარი შეგვძინა, რომლებიც დღეს მთელი სულითა და გულით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების მიერ წამოწყებულ საქმეს და იმ ხიდის აღდგენას, რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო მოიშალა.

კეთილი ურთიერთდამოკიდებულების ფასი განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს შეიცნობა და ეს, სიტყვით თუ საქმით, მრავალჯერ დაამტკიცეს კიდეც ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა.

ქართველების მიმართ კეთილგანწყობილ იმ მრავალ მეგობართა შორის იყო ბატონი არმინ ფეტი, ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, რომელსაც მთელი გულით უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. ეს სიყვარული მან მრავალჯერ დაამტკიცა ჩვენთვის განსაკუთრებით ძნელბედობის ჟამს. მისი უშუალო ინიციატივით და მეუღლის ქალბატონ ურსულას თანადგომით მან საქართველოში მრავალჯერ გამოაგზავნა ჰუმანიტარული დახმარება.

ახლა ძნელია იმის დადგენა, თუ რამ შეაყვარა საქართველო და ქართველი ხალხი გერმანიის ბადენ ვიუტენბერგის მხარის ქალაქ შორნდორფის მკვიდრს. სწორედ ამ სიყვარულის გამოხატულება იყო, რომ მან ჯერ კიდევ 1989 წელს ქალაქ შორნდორფში დააარსა „ქართულ-გერმანული კლუბი“, რომელმაც არსებობის დღიდან ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა გერმანიაში ქართული კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით. ბატონმა არმინმა განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა ქართველ მხატვრებს.

1991 წლის ოქტომბერში ქალაქ შორნდორფში მოეწყო ევროპის კულტურის დღეები. სადაც მან, ქალაქის მერის ბატონ კიუპლერის უშუალო თანადგომით, ქართველი ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფიც მიიწვია მონაწილეობის მისაღებად, რაც განსაკუთრებით დიდი პატივი იყო ჩვენთვის. ევროპის კულტურის დღეებშივე მოეწყო ქართველ მხატვართა გამოფენა. მისი ორგანიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მხატვარმა, ბატონ არმინის მეგობარმა ოთარ ჩაკვეტაძემ. ექსპოზიციაში მის ნამუშევრებთან ერთად წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა მხატვრების ნიკოლოზ ციხელაშვილის, ლევან დევდარიანის, ალეკო ადამიას, ალექსანდრე ახვლედიანის, თეა გურგენიძის, გოჩა დავლიანიძის და კახა ხინველის ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები. გამოფენა მოეწყო ქალაქის მერიის სასახლეში. იქვე გაიმართა ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. დელეგაციას ლევან კასრაძე ხელმძღვანელობდა.

ეს გამოფენა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სასინჯი ქვა იყო ქართული სახვითი ხელოვნების ევროპაში წარმოსაჩენად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არმინ ფეტი, თავისი დიდი კეთილი გულით, არავის ტოლს არ უდებდა მოყვასის სიყვარულში. ამ გრძნობის გამოხატულებაა მისი მშობლიური ქალაქის შორნდორფისა და მცხეთის დაძმობილება, რომლის ინიციატორიც თავად ბატონი არმინი იყო.

მას სამომავლოდ მრავალი გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული გერმანიაში ჩვენი კულტურის კიდევ უფრო ფართოდ წარმოსაჩენად, რაც სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

გულსატკენია, რომ ეს დიდბუნებოვანი პიროვნება დღეს ჩვენს შორის აღარ არის. სრულიად ახალგაზრდა კაცს გულმა უმტყუნა 50 წლის ასაკში, იმ გულმა, რომელიც მუდამ სიყვარულითა და სიკეთის ქმნით იყო აღსავსე.

მისი დაღუპვა დიდი დანაკლისია, როგორც მისი შესანიშნავი ოჯახისათვის, ისე ჩვენთვის, ქართველებისათვის.

იგი აღარ არის, მაგრამ მას, ისე როგორც მის გაწეულ ამაგს, დავიწყება არ უწერია.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

გულახდილი დიალოგი: ყველას თავისი აზრი აქვს

ღმერთი მიწყივ კეთილის მხარეზეა

გვესაუბრება საქართველოს ძველ მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი იოანე-იონა

— მეუფეო, ბატონო მურთაზ (მწერლობაში ჩვენ ასე გიცნობთ), თქვენი თეოლოგიური ნაშრომის „რა უნდა ვაკეთოთ“ გამოქვეყნებამ საზრიან მკითხველთა აღფრთოვანება გამოიწვია და რესპუბლიკის პრესის მაღალი შეფასების საგანი გახდა. ითქვა, რომ ეს წიგნი უფლის ნების განმცხადებელია. თავად რითი ინებებდით მკითხველისათვის ამის დადასტურებას?

— ღვთის მონა ან სიზმრისეულ ხილვაში მიიღებს ინფორმაციას, ან კიდევ ცხადლივ ჩაესმის უფლის ხმა. მოგახსენებთ, მე ეს პატივი სიზმრისეული ხილვით მერგო. ისევე როგორც იოსებს — ღვთისმშობელზე და წმ. გრიგოლს — საზეურეთა შესახებ.

კაცობრიობის დამამოძღვრი საფუძველი ფუნქცია მეფეთა და სამეფოთა შესახებ თავის დროზე იოანე ღვთისმეტყველს ეუწყა, როცა მას ზღვისპირას წიგნი აჭამეს: „და მითხრა მე: კვლავინდებურად გმართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა და ენათა და მეფეთათვის“ (გამოცხ.; 10, 10-11). გაიხსენეთ ებრაელების შეკითხვაზე ელიას შესახებ ქრისტესმიერი განმარტება: „გნებავთ, ელია უკვე იყო და თქვენ მას მოეპყარით როგორც გნებავთ...“ გეკითხებით, რანაირად შეიძლებოდა იოანე ყოფილიყო ელია? დიახ, მაცხოვარმა ებრაელთა გაკვირვებას ამგვარი ლოგიკა დაუპირისპირა: „იოანე მოვიდა ქვეყანაზე ელიას სულიერებითა და ძლიერებითა“. ითქვა და დანარჩენი მერმედ იოანეს ცხოვრებამ და ღვაწლმა დაგვიდასტურა. სადღეისო ჩემი ნაღვაწი კი იმეორებს უფლის ნაბრძანების სვლა-გეზს: „ადექი და გაზომე ღმერთის ტაძარი და საკურთხეველი და თაყვანისმცემელი მასში“ (გამოცხ.; 11, 1.). ეზრას წინასწარმეტყველებაც დაფერფლილი რჯულის აღდგენის თაობაზე ბოლო დროისად იგივეს იმეორებს, ასევე იგივეს იმეორებს იოანე-ზოსიმე ქებაი და დიდებაიში: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად“ და „წელი 94 გვაუწყებს რამეთუ ენაი ქართული უმეტეს ყოვლა ენათა“, ასევე ღვთისმშობლისადმი ნაბრძანები ბოლო დროისად იბერიის — მისი წილხვედრი ქვეყნის გაბრწყინებაზე. არის კიდევ სხვა საბუთები, რომელთაც მალე წარუდგენენ ერს.

— წიგნში „რა უნდა ვაკეთოთ“ თქვენ ბრძანებთ, რომ დღევანდელი ოფიციალური ეკლესიები სრულად ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— დიახ, მე ვთქვი, რადგან ეკლესია, რომელიც დიდი რჯულის კანონის დამრღვევია, ეკუმენურია, იგი ავტომატურად ანათემირებულია. ყოველი ანათემირებული — ღვთისმადლს მოწყვეტილია.

— მაშ, განწირულნი ცდომილ ეკლესიათა მსახურნი?

— უსაშველო არა არის ქვეყანაზე. განა თავად სიცოცხლე არ ნიშნავს ცხოვრების გზის გარანდვის დახანებას? სიკვდილი ხომ ამ საშუალების საბოლოო დაკარგვაა. და რადგან ჯერ კიდევ ვსუნთქავთ, შანსი წაურთმეველია. გონიერი, არა ამპარტავანი მოუხმობს საშველს და მიეცემა მას საშველი, რადგან ეძიებს იგი მას. უგუნური პურჭელი თავად დაიტეხს მეპურჭლის რისხვას, რამეთუ არსებობს უფლის თმენის ზღვარი, რის შემდეგ გასდის ყავლი ცრუ დიდებას. ემხობიან უძლიერესი იმპერიებიც კი, მხოლოდ გონიერს შესწევს ქედის დადრეკა და საშველის ძიება. საშველს კი ქრისტე-ღმერთის მონობის მოწადინეს რა დაულევს, მონანიების ერთი წვეთი ცრემლიც საკმარისია ჩვენთვის ჯვარცმულის მიერ შენიშნული, რომ უმალ მიეტეოს თავდადრეკილს.

— მრავალ კონფესიათა შორის რანაირად შეიძლება მართალი კონფესიის გამორჩევა?

— რა თქმა უნდა, მხოლოდ დიდი რჯულისკანონის მიხედვით, რადგან ისაა საეკლესიო და საერო სამართლის კოდექსი. ეს ის წიგნია, დავით აღმაშენებელმა არსენ იყალთოელს რომ ათარგმნინა ბერძნულიდან, და რუისურბნისის კრების დადგენილებით კიდევ ერთხელ რომ მოუწოდა საქართველოს ამ წიგნის მიყოლა. არცა რაჲს მიმატების და გამოკლების უფლება დაურთავთ. მოძალადენი ანათემას შეუყენეს.

გასაკვირი ისაა, ვისაც ეს წყევლა სადღეისოდ ეკუთვნის, იგი თავს მართლად რაცხს. განა მსოფლიო წმ. მამათა და მეცნიერთა აზრი ძველ მორწმუნეთა შესახებ ნაუწყები მათ ორთოდოქსულობაზე, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე საბუთად არ უნდა მიიღებოდეს? (დიდი რჯულისკანონი, ბროქჰაუზის და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიები). როგორც ქალწულობის დამადასტურებელი საბუთი ქალწულებრივი ბეჭდის გარეშე არ არსებობს, ასევე მართლმადიდებლობის დამადასტურებელი ბეჭედი დიდი რჯულის კანონის აღსრულების გარეშე წარმოუდგენელია.

ოფიციალური ეკლესიები სადღეისოდ ამ ჭეშმარიტებას მოკლებულნი არიან. მაშ, რანაირად შეინარჩუნეს მღვდლობა? განა მოციქულთა 50-ე კანონის დარღვევა არ აჭყრის სამღვდლო პატივს შერყვნილი ნათლობის მესაკუთრეთ? მაშ, ვინ არის მართლმადიდებელი? ვინც მართლად იცავს დიდ რჯულის კანონს, და არც ისინი, რომლებთაც მხოლოდ ტაძარი გააჩნიათ. ტაძარი სხვა რელიგიების მესაკუთრეთაც გააჩნიათ. მაგრამ ბიბლიიდან ეუწყათ: „ამაოდ გიპყრიათო ცეცხლი საკურთხეველზე“... იგივე ითქმის რჯულსგანრიდებული კონფესიების მიმართაც, თავიანთი საკურთხევლის ვარგისიანობაზე მიანიშნებენ, მაშინ, როდესაც ღვთის წინაშე ურჯულოების გამო პატივაყრილები სასჯელის ქვეშ დგანან.

— როგორი საქვეყნო პოლიტიკაა გამართლებული?

— როცა ვისმენ ზოგიერთი ერის წინამძღოლობის მოსურნეთა საერო მოწოდებებს, რომლებიც ეფუძნება მკლავის ძალასა და სისხლის ღვრას, დიდად მაოცებს. რა რიგ იქნა დავიწყებული უფლის ყოვლისშემძლეობა, ვის ეჩვენება უფლის მარჯვენა მოკლე?

წინამძღოლი, რომელიც რელიგიაზე წინ სისხლით ნათესაობას და პოლიტიკას დააყენებს, უმეცარია და ერის დამღუპველი რადგან: „ერი და სახელმწიფო, რომელიც ღმერთს არ ემსახურება, განწირულია“ (ესაია).

თუკი რელიგია ნიშნავს ღვთისა და ადამიანის კავშირს, სწორედ ის არის სულის გადამრჩენელი საკაცობრიო ფეხოძენი, რომლითაც ღმერთს ვეზიარებით, რადგან ღმერთთან ზიარების გარეშე კაცი ეშმაკის საკუთრებაა, ღმერთთან კი ჭეშმარიტი რელიგია აზიარებს კაცს.

— ვის ირჩევს ერი წინამძღოლად?

— ერი კი არ ირჩევს წინამძღოლს, არამედ ღმერთი, რომლის ნებით წინასწარმეტყველი წარუდგენს ხალხს უფლის რჩეულს. ერს მხოლოდ მისი მიყოლა მართებს. ხოლო უკეთუ ქვეყანას წინასწარმეტყველი არა ჰყავს, სწორედ ამის გამო უწევს სიბნელის ოკეანეში ფათური ღვთივგარიყულებს. წინასწარმეტყველი, ეს ის სიწმინდის ნედლი ნაყოფია, რომელსაც აღმოცენება ხმელ ტოტზე არ უწერია. და როცა ერს ღვთაებრივი სიბრძნის წყურვილი კვლავ გაუჩნდება, ტოტი იწყებს განედლებას.

— რისი ცოდნა მოეთხოვება უპირველესად საერთოდ წინამძღოლს?

— მან უნდა შეიძლოს განსაზღვრება იმისა, თუ რა დროს გასდის ყავლი ღვთითმოსჯილ ტყვეობას, და ასევე უნდა ფლობდეს ღვთისაგან გამჟღავნებული სასჯელის განრიდების მეცნიერებას. ღვთიური კანონების უგულვებელმყოფელს და ახალი კანონების შემთხზველს მოუწევს თავისივე ხელით საკუთარი თავის დასაჭურისება და ერი, რომელიც კაცობრივი სიბრძნის მიყოლას ირჩევს, იგი აღმოჩნდება ღვთის რისხვის ქვეშ, რამეთუ ბიბლიიდან გვეუწყება ღვთით: „ვერ გიშველიან სწრაფმრბოლი ცხენები, როცა მე გავწყრები!“, „ამაოდ ფხიზლობენ ჯალაბნი!“, „გოლიათი ვერ გადარჩება თავის ძალისხმევით!“.

ამიტომაც ერმა გულისყური სწორედ ღვთიური სიბრძნით მავალს უნდა მიაპყროს და არა ღვთის მიღმა დარჩენილს.

— რას იტყოდით ადამიანის აღზრდა-განათლების, ინტელექტუალური ჩამოყალიბების შესახებ, როგორ გესახებათ ამ სულიერ ფასეულობათა მომავალი?

— პიროვნების აღზრდა-განათლება და კულტურული ყოფის არსი რელიგიაში მოიძებნებოდა, ზნეობის სკოლად ეკლესია იყო მიჩნეული. ამ ფუნქციას ეკლესია ასრულებდა, ვიდრე თავად ეკლესია არ გაყალბდა. გაყალბებულ ეკლესიას ჩამოერთვა ადრინდელი პატივი, და ამგვარად რელიგიისაგან გამიჯნულ განათლებას და კულტურას ცალკე აუშენეს ტაძრები. უზნეო დედას მოწყვეტილ შვილებს კიდევ უფრო დაუმძიმდათ ყოფა. ინდომეს, მაგრამ ვერ გამოდგა სხვადასხვა სატაკიმასხარო დაწესებულებანი ზნეობის სკოლად. ადამიანი როცა მაიმუნის შვილობაში დააჯერეს, გამაიმუნდა ქვეყანა. ამის შემდეგ ვერც ერთი დიდი მაიმუნიც კი ვერ დაუშლიდა მაიმუნობას უკვე გამაიმუნებულებს.

გაველურების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიური დაცემაა. დღევანდელ ადამიანების კულტურის არსი ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის დაუფლებაში ესახებათ. სიტყვა „კულტურა“ კი ორი სიტყვის კომპლექსია, იგი წარმოებულია ებრაული „კოლ ტორადან“, რაც ნიშნავს „ხმა თორასი“, ესე იგი კულტურული კაცი ის კი არ ყოფილა, რომელსაც ჰალსტუხის გამოსკვნა უსწავლია კისერში ჩასაბმელად, არამედ კულტურული ყოფილა ის კაცი, რომელსაც სცოდნია მოსეს ხუთწიგნეული — თორა. ასე რომ, ბიბლიურ სიბრძნეს ნაზიარები ადამიანი განათლებულიცაა და კულტურულიც. საჭიროა აღდგება რელიგიური ტაძრის პირველყოფილი სიწმინდისა, რაც იქნება გარანტია საზოგადოების არა გაველურებისა, და ღვთისშვილად წარმოჩენისა.

— შეიძლება თუ არა ერი განუდგეს წინამძღოლს?

— ეს მხოლოდ მაშინ, როცა წინამძღოლი რჯულმოსილებას განირიდებს.

— მაშინ როდესაც მძლავრად მოქანება ეკუმენისტური ტალღა რელიგიათა საინტეგრაციოდ, რა როლს იკავებს თქვენი წიგნი რჯულისკანონის იგნორირებისა და ეკლესიის მოდერნიზაციის ფონზე?

— ეშმაკი დედამიწაზე სამეფოდ მაშინ იყენებს თავის ძალოვანებას, როცა მისი მცხოვრებნი უფლის მფარველობის მიღმა რჩებიან. ასე რომ, არა თვით ღორის კოლტის დასაუფლებლად ეშმაკს ქრისტესთან სამათხოვროდ არ გაუხდებოდა საქმე. თუკი წიგნი ღვთიური განაცხადია, არ არსებობს ძალა არც დედამიწაზე, და არც ცათა შინა, რომელმაც შეიძლოს მისი გაცამტვერება. უნიჭო კი ფარაონივით დაიწყებს ღვთის ძალის მოსინჯვას საკუთარ თავზე და ერზე, საწადელიც ფარაონივით აღესრულება. მოსესნაირი წადილის მოსურნე კი კვლავ მოსესავით დაუმარცხებლად წარუძღვება თავის ერს შეიდმტკავლიანი კვერთხისა და უფლის მოიმედე, ხოლო ფარაონნაირთ მოუწევთ ზღვის ფსკერზე დავანება: უნდა ვიცოდეთ, როცა უფალი უფლობს, ეშმაკი დუმს, და როცა ეშმაკი უფლობს, იგი უფლობს უფლისნების დართვის შემდეგ.

— რა შეიძლება მზეზე ნათელი იყოს?

— რა თქმა უნდა, ჭეშმარიტება.

— თუკი ეს ასეა, რატომ ვერ შეიყვარა იგი კაცობრიობამ?

— ურჯულოებადამკვიდრებულ ქვეყანაში ჭეშმარიტებაც ასევე უფასურობს, როგორც ძალუმად შენარჩუნებული ქალწულობა.

— რითი შეიძლება ცხოვრების გამართლება?

— თუკი ადამიანი ჭეშმარიტი ნათლობით განათლულია და ამის შემდეგ სათნოდმავალი უფლის წინაშე, ე. ი. დიდი რჯულისკანონის მიმყოლია, მიზანი მიღწეულია.

— გწამთ თუ არა სამომავლოდ საქართველოს საქვეყნო გაბრწყინება?

— ჭეშმარიტად. საქართველო მსოფლიო საქრისტიანოს ღერძია. იგი დაბნეული, უპატრონოდ დარჩენილი, ეშმაკის მიერ შეპყრობილი კაცობრიობის მწყემსია. მაშ, მეტი ყურადღება ღვთისმოშიშობას!

მეტი ყურადღება ღვთისადმი სიყვარულს!

მეტი ყურადღება მოყვასს!

ამენ!

ესაუბრა
გივი ჩიქვინიძე.

შანსი ისევ გვრჩება

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ბოლოდროინდელი ოფიციალური საერთაშორისო მატჩების პერიპეტიებს მიეძღვნა გუნდის უფროსის ჯამლეტ ხუხაშვილის პრესკონფერენცია. ავადმყოფობის გამო ჟურნალისტებთან გამართულ ამ შეხვედრას ვერ დაესწრო მთავარი მწვრთნელი ზესიკ ლიპარტელიანი.

დასაწყისში წარმოგვიდგინეს ბელარუს — საქართველოს ორთაბრძოლის ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტი, რომლიდანაც შევიტყვეთ, რომ დებიუტში ნაცვლიშვილისა და სტეფანიას ძალისხმევით ჩვენი ნაკრები სოლიდურ უპირატესობას ფლობდა — 8:3, 13:6. მას შემდეგ, რაც სანაძემ დროის მცირე მონაკვეთში შორი მანძილიდან ზედიზედ სამი არაზუსტი ტყორცნა განახორციელა, მასპინძლებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში, ამასთანავე, მთელი ძალით ამოქმედდა მათი დამრტყმელი ძალა — ბაიდაკოვი, დაინეკო, გრიშჩუკი, კლეცისი და საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა — 102:76 (48:37) ბელარუსის გუნდის სასარგებლოდ.

პრესკონფერენციის ძირითადი ნაწილი საქართველო-ისრაელის მატჩს მიეძღვნა. თურმე ეს შეხვედრა ისრაელის ტელევიზიით ორჯერ გადაცემულა და იქაური გამოძახილით თუ ვიმსჯელებთ — „რა ძლიერი ნაკრები ყოლიათ“ — გულგასატეხი, შედეგის მიუხედავად, არაფერი გვქონია. და ეს მაშინ, როცა ჩვენში ხშირად გაიგონებთ — „ეს თამაში როგორ წავაგეთო“. ბატონ ჯამლეტის ნაკრების თავკაცებთან შეჯერებული მოსაზრებით, ჩვენს გუნდს ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, მით უმეტეს, რომ ბოსნია შინ დამარცხდა საბერძნეთთან (არადა, შესვენებამდე 17 ქულას იგებდა), ისრაელმა კი ასევე შინ, თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, იმავე ბოსნიასთან წააგო. სენსაციები სხვა ჯგუფებშიც გვხვდება. მაგალითად, ბულგარეთმა თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთ გრანდს — ხორვატიას სძლია. ასე რომ, მომავალში ყველაფერია მოსალოდნელი.

ეს შეხვედრა ნაკრებისა და კლუბ „მაკაბის“ ოფისში ისრაელის კნესეტის წევრის, საქართველო-ისრაელის საპარლამენტთაშორისო კომისიის თავმჯდომარის ბატონ ეფრაიმ გურის (გურიელაშვილის) მობრძანებით და მისი ვრცელი, გულითადი საუბრით დამთავრდა. იქვე, ოქრომჭედის ქართველმა ოსტატმა ნინო ფეიქრიშვილმა საპატიო სტუმარს საჩუქრად ებრაულ თემაზე შექმნილი ექსპონატი უსახსოვრა.

გია პლატონიშვილი.

მეუღლე ჯულიეტა სულაქველიძე, შვილები ქეთინო, თემურ ხარაიძეები, სიძე სერგეი ზემლიანოი, ბიცოლა ნელი ჟორდანია, ბიძაშვილები ირინა, ზურაბ, ვახტანგ, გია, ირაკლი აბაშიძეები, თამარ, რეზო, დარეჯან, ხარაიძეები, დეიდაშვილები ბესიკი, ნუგზა, ლეილა, კობა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ვლადიმერის ძე ხარაიძე

პანაშვიდი 21, 22 ნოემბერს, 16 საათზე, გამოსვენება 23 ნოემბერს, 14 საათზე. მისამართი: კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. № 17-ა, II სადარბაზო, VII სართული.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტო—საქინფორმის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქინფორმის ყოფილი დირექტორი, ცნობილი ჟურნალისტი, მწერალი,

ზურაბ ვლადიმერის ძე ხარაიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გთავაზობთ!!!
A·4 და A·3 ფორმატის საწერ, საბეჭდ და ქსეროქსის
ქაღალდს; სახაზავ პერგამენტს.
უნაღდო ანგარიშსწორებით, ადგილზე მიწოდებით.
38·91·64

გახსენება

ჯუმბერ ნოზაძე

22 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, დღეიდან შენი გახსენების დღედ დამკვიდრებული — მწარე სინამდვილეა.

ქალაქმა დაკარგა კაი ყმა, სამეგობრომ ლამაზად თანამდგომი, ოჯახმა მზრუნველი და უწყინარი მამა, მეუღლე, შვილი.

შენი მოულოდნელი გაუჩინარებით თამუნას და ახუტას თვალებში საოცრად მოელვარე ნაღველმა დაისუდა, აშკარად გრძნობენ აუნაზღაურებელ დანაკლისს. გვიჭირს ცრემლშეუშრობელი ასმათის, ნანას, დოდო დეიდას გამხნევება.

შენს ყოველდღიურ ყოფაში რაღაც-რაღაცეებმა (შენეული ფრაზაა) ელფერი დაკარგა, ყველას და ყველაფერს აკლია შენი ხელი და თბილი მზერით გაჟღენთილი გონივრული სვლები.

შენ შენი ცხოვრების წესით და სტილით გამორჩეული იყავი, მამას გამგვანებდნენ, ეს შენთვის სხვა დატვირთვასა და შინაარსს იძენდა. ალბათ, ამიტომაც ვერ გაბედე გადაგებიჯებინა მისი — ვახტანგ ბიძიას — ამქვეყნიური ცხოვრების ზღვრულ ასაკს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ორივე 22 რიცხვში ხართ დაბადებული.

გვენატრები ყველას, შენი გული ხომ ყველას სიყვარულს იტევდა, გულმა, რომელმაც პირველად იგრძნო შენი „წუთისოფლის სტუმრობის“ ჟამის აღსასრული და სულეთის მარადიულ სამყაროსთან შეერთების მოახლოებული წუთები.

დღეს თბილისი შემოდგომის ლამაზ ფერებშია გახვეული, ჩვენ კი მივალთ შენს საფლავთან და ჭიქა ღვინოსთან ერთად გავიხსენებთ ყველაფერს იმას, რაც შენთან გვაკავშირებდა.

ნათელი ეფინოს შენს ლამაზ სულს, ჯუბა.

მეგობრები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ოთარ ფაცაციას შვილის

კახა ფაცაციას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ოთარ ფაცაციას შვილის

კახა ფაცაციას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების ლაბორატორია, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი და საქართველოს სტატისტიკური ასოციაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის შემთხვევითი პროცესების თეორიის სექტორის გამგე

რევაზ ჩიტაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლია, მამა იაკობ, შვილი ნინო, და ნუნუ, სიდედრი თამარ მესხია, სიძე კობა ჭიჭინაძე, ბიძა ედუარდ ჩიტაშვილი, ბიცოლა ლამარა გიორგაძე, მძახლები ნატო, გურამ ჭიჭინაძეები, რძალი ლამარა ნანავა, ცოლისძმა გიორგი თოდუა, ბიძაშვილები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ ჩიტაშვილი

პანაშვიდი 21, 22 XI, 4 ს., დაკრძალვა 23 XI 2 ს., ფანასკერტელ-ციციშვილის (ბახტრიონის გორა) მე-17 კორპ.

შვილი ნანა, შვილიშვილები ხათუნა, დათო, ირაკლი თორთლაძეები, შვილთაშვილები შალვა, ლევან კაკაურიძეები, სიძე ერემო კაკაურიძე, მძახალი საშა თორთლაძე, დისშვილები ეთერი, თამარი, გიორგი რაჭველიშვილები, თამაზ დავლიანიძე, ძმისწულები თამრიკო ნოზაძე, ჯიმი, ვასიკო. დათო გიუნაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ დიანოზის ასული გიუნაშვილი-ბაზალიშვილი

პანაშვიდი 23, 24 XI, 3 ს., დაკრძალვა 25 XI 2 ს. ნუცუბიძის IV მ/რ, 27-ე კორპ., I სად. ბინა 3.

მეუღლე ირა, შვილები დალი, ნანა, ლია, სიძეები იაზონ მაჭავარიანი, კოკა ცხაკაია, შვილიშვილები თეა, ირინა, ლაშა, თათა, მარიკა, პაატა გუგუშვილი, გოგა გუჯაბიძე, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქორა (დომენტი) ილარიონის ძე ჟორჟოლიანი

პანაშვიდი 21, 22 XI, 6 ს., გამოსვენება 23 XI 2 ს. ნუცუბიძის 18.

მეუღლე ლამარა შავიშვილი, შვილები გოგი, ხატია ბოგუები, სიძე პაატა [illegible], ძმები ჯემალ რევაზიშვილი, ილია ბოგუა, დები ნანი, ლალი რევაზიშვილები ოჯახებით, რუსუდან ბოგუა, მძახლები ბელა [illegible], ელდარ ხუხუნაიშვილი, ცოლისძმა შალვა შავიშვილი, ცოლისდები მერი, ლია შავიშვილები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ გალაქტიონის ძე ბოგუა

პანაშვიდი 21, 22 XI, 3 სთ., დაკრძალვა 23 XI, 2 სთ., გლდანის მასივი, I მიკრორაიონი, 21-ე კორპუსი, IV სადარბაზო, III სართული.

მორიგე რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

გამომცემელი — შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484. ტელ: 99-78-24. მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოჭიაშვილი.